კვირა, 3 თებერვალი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სიმართლის ხმა

№ 12 ყოველკვირეული ჟურნალი № 12

| რედაქცია და კანტორა | ფასი | რედაქცია და კანტორა |
| --- | --- | --- |
| ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102. | 5 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი | ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დაღამს 8 ს. შუაღ. 1 ს.-დე. |


## ინგლისის მუშათა მთავრობის გარშემო.

უკანასკნელ ხანებში ინგლისში მოხდა მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი.

იქ ძალა-უფლება ხელში აიღო მუშათა პარტიამ.

და ეს აღება ძალა-უფლებისა მოხდა არა რევოლიუციის გზით, არა სისხლის დაღვრით, ძალადობით, არამედ ინგლისის მეფის ლოცვა-კურთხევით, მისი სრული თანხმობით.

ეს პირველი მაგალითია თანამედროვე ევროპის ცხოვრებაში, რომ მუშათა პარტიას კონსტიტუციური გზით, უსისხლოთ აეღოს ხელში ძალა-უფლება.

თვით ის ფაქტი, რომ ინგლისის მუშათა მთავრობის შედგენა მოხდა მშვიდობიანი გზით, ურევოლიუციოდ, იმის მაჩვენებელია, რომ ეს მუშათა მთავრობა ვერ განახორციელებს ცხოვრებაში მუშათა ინტერესებს, მისწრაფებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის ბურჟუაზია, რომელსაც მშვენივრად აქვს თავისი ინტერესები შეგნებული და რომელიც ორგანიზაციულადაც ძლიერია, უსათუოდ წინააღმდეგი იქნებოდა მუშათა მთავრობის შედგენისა, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, თვითონ ბურჟუაზიამ მხარი დაუჭირა მაკდონალდის მთავრობას.

რაშია საქმე?

რათ მოხდა ეს ასე?

ჩვენ სისწორით უნდა შევაფასოთ ეს მოვლენა და სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან.

უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში, როგორც ვიცით, დამარცხდა კონსერვატიული პარტია. საპარლამენტო არჩევნების კომპანია სხვა და სხვა საკითხებზე სწარმოებდა. კონსერვატიული პარტია კრინტს არ ძრავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, ინგლისის რუსეთთან დამოკიდებულებაზე. ის უმთავრესად ინგლისის შინაურ მდგომარეობაზე მიაქცევდა ყველას ყურადღებას: პროტექციონიზმი თუ თავისუფალი ვაჭრობა, აი რის გარშემო სწარმოებდა მთავარი ბრძოლა. კონსერვატორებს, და ნაწილობრივ ლიბერალებს ეშინოდათ საგარეო პოლიტიკაზე ლაპარაკის, ისინი ამას გაურბოდენ, რადგანაც ამ კითხვაში სუსტად გრძნობდენ თავს.

მუშათა პარტიას კი, პირიქით, ამ კითხვებზე და საერთოდ ქვეყნის უმუშევრობაზე გადაქონდა ბრძოლის ცენტრი. საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგება, უმუშევრობასთან რადიკალური ზომებით ბრძოლა, საფრანგეთ-გერმანიასთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენა და სხვა.

აი ის ძირითადი საკითხები, რომლის გარშემო სწარმოებდა საარჩევნო ბრძოლა. ეს ბრძოლა მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა მოიგეს.

შედეგად მუშათა მთავრობა მივიღეთ.

უნებლიედ იბადება კითხვა: როგორი იქნება ახალი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რა მნიშვნელობა აქვს ინგლისში მუშათა პარტიის მთავრობის შედგენას?

გავსცეთ მოკლე პასუხი ამ კითხვებს.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ მუშათა პარტიის საშინაო პოლიტიკა არ იქნება რევოლიუციონური. ის ვერ გადასდგამს ვერც ერთ ნამდვილ სოციალისტურ ნაბიჯს. ამის ნებას მას არ მისცემენ პარლამენტის ფრაქციები, ხოლო მათი სურვილის წინააღმდეგ მუშათა მთავრობა ვერ გადასდგამს ვერც ერთ ნაბიჯს. საამისო რევოლიუციური სული მას არ აქვს, რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ მუშათა პარტიის ბუნებას.

სოციალიზმის შიში უსაფუძვლოაო, განაცხადა პრემიერმა—მაკდონალდმა.

აშკარაა მაკდონალდის მთავრობის სოციალური პოლიტიკა თითქმის იგივე დარჩება, როგორიც იყო ლოიდ-ჯორჯის და ბალდვინის პოლიტიკა. აქ ორი აზრი შეუძლებელია.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ უეჭველად მოსალოდნელია საგრძნობი ცვლილებები.

უპირველესად ყოველისა მაკდონალდის მთავრობა იცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად. ამის შესახებ არა ერთხელ და ორხელ განუცხადებიათ მუშათა პარტიის ლიდერებს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი მთავრობაში არ იყვნენ. დღეს კი მათ საშუალება აქვთ თავიანთი განცხადება სისრულეში მოიყვანონ და ოფიციალურად იცნონ საბჭოთა კავშირი. ამ ცნობას საჭიროებს თვით ინგლისის შინაური მდგომარეობა. ძირითადი საკითხი, რომელსაც უმუშევრობა ჰქვია, ისე ვერ გადაწყდება, თუ ინგლისმა საბჭოთა კავშირი არ იცნო და მასთან ნორმალური ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა არ დაამყარა. ეს ანბანია და ჩვენ ვფიქრობთ, ეს კარგად ესმით ინგლისის დღევანდელ მესვეურებს.

მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის ცნობა კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირს, როგორც საერთაშორისო მაშტაბში, ისე თავის ფარგლებშიც. ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას უსათუოდ მოყვება სხვა სახელმწიფოების მიერ უკანასკნელის ცნობა და ეს საბოლოოდ განამტკიცებს საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობას. ამის შემდეგ საბჭოთა მტრები ალბათ დაცხრებიან და ხელისუფლებას უფრო მეტი საშვალება მიეცემა დამშვიდებული აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებისა და საბჭოთა ქვეყანა დაადგება აყვავება-აღორძინების გზას.

ინგლისის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკა გერმანიის მიმართაც უთუოდ ახალი იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისი პუანკარეს მოუწოდებს წესრიგისაკენ. ყოველად წარმოუდგენელია მომავალში ისე ითარეშოს ამ მოხუცმა, როგორც ის დღემდე თარეშობდა. პუანკარეს პოლიტიკამ გერმანია ქაოსში გაგზავნა, მუშათა კლასი სრულ გაღატაკებამდე მიიყვანა. ჩვენ არა გვგონია, რომ ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობამ მონაწილეობა მიიღოს გერმანიის მუშათა კლასის განადგურებაში. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაკდონალდის მთავრობა ცოტა შუბას მაინც ავრძ-

ნობინებს იმპერიალისტების მიერ განადგურებულ და დაბეჩავებულ გერმანიის მუშათა კლასს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ინგლისის მუშათა მთავრობას არ შეუძლია მუშური პოლიტიკა აწარმოვოს და სოციალურ სფეროში სოციალისტური რეფორმები გაატაროს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ამას ჩვენ წინედ აღნიშნავდით, ინგლისში მუშათა მთავრობის შედგენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკის მარცხნივ გადახარაში. უკანასკნელ ხანებში რეაქცია მეტად გათამამდა ევროპის კონტინენტზე და ამ თავაშვებულ რეაქციას უეჭველად ლაგამს ამოდებს ფაქტი მუშათა მთავრობის არსებობისა ინგლისში.

გარდა ამისა, თვით ინგლისის მუშათა კლასი საქმეზე აშკარად დაინახავს მუშათა პარტიის მთავრობის პოლიტიკის სისწორე-უსწორობას. ის გამოერკვევა ბურუსიდან და ორში ერთი: ან აიძულებს თავის ბელადებს მარცხნივ დაიჭირონ პოლიტიკის გეზი, ან და მონახავს სხვა ხელმძღვანელს.

ამ მხრივაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისში მუშათა მთავრობის შედგენას.

# მსოფლიო მდუხარეგა

დილის 10 საათია...

რას წარმოიდგენ, თუ წუხელ სიცოცხლეს გამოესალმა მსოფლიო რევოლიუციის ბელადი!..

მივდივართ ამხ. მარტინოვთან მე და აკაკი ჭყონია...

ის ამ დღეებში დაბრუნდა პეტროგრადიდან.

გვინდა გავიგოთ ახალი ამბავი, როგორია პეტროგრადელ მენშევიკების განწყობილება, აპირებენ თუ არა ახლო მომავალში სალიკვიდაციო ყრილობის მოწყობას.

კარებში შეგვხვდა ამხ. მარტინოვი.

საშინლად დაღვრემილი.

გამიკვირდა:

— ხომ არ ეწყინა ჩვენი მისვლა!..

— სწორეთ ისეთ დროს ჩამოდით, როცა ასეთი უბედურება დატრიალდა! — გვეუბნება მარტინოვი.

ვერ გამიგია, რა მოხდა, რა უბედურებაზე მელაპარაკება.

— მოკვდა!.. გუშინ, საღამოს შვიდის ნახევარზე...

ეხლა უკვე გავიგე ვისზეა ლაპარაკი...

— აღარ გვყავს ლენინი!..

საშინელმა მწუხარებამ მოიცვა ყველას სახე...

— ესაა ტელეფონით მაცნობეს... გადიცვალა გორკაში...

მეტი ლაპარაკი აღარ შეგვიძლია...

გამოვდივართ...

„პარიზის“ ნომრებში ცხოვრობენ საკავშირო საბჭოების ყრილობის წევრები საქართველოდან.

მივდივარ იქ.

ამხანაგები ხახა მშრალია...

ამხ. ბესო ლომინაძის ოთახში შეკრებილან ამხ. ამხ. ორახელაშვილი, ელიავა, ლომინაძე, კახიანი და სხვები...

ყველა დუმილს მოუცავს.

— გაიგე? — მეკითხებიან.

— კი!.. ვუპასუხებ... მაგრამ არ მჯერა, არავის სჯერა, რომ ლენინი მოგვშორდა, რომ ლენინი აწ ვერ უხელმძღვანელებს მსოფლიო რევოლიუციას...

ის იყო დღეს უნდა დამთავრებულიყო სრულიად რუსეთის საბჭოების მე-11 ყრილობა და შემდეგ უნდა გახსნილიყო საკავშირო ყრილობა..

და აი სწორედ ამ დროს გამოეთხოვა სიცოცხლეს საბჭოების შემქმნელი, საბჭოთა წეს-წყობილების დიდი ავტორი...

სრულიად რუსეთის ყრილობის სხდომა შესწყდა...

მართალია, ლენინი ფიზიკურად არ იყო ამ ყრილობაზე, მაგრამ ის სულიერად მაინც იქ იყო და ხელმძღვანელობდა მას...

დღეს თუ ხვალ ყრილობას უნდა აერჩია ცენტრალური აღმასკომი და სახალხო კომისართა საბჭო...

წინასწარ შემუშავებულ სიაში ლენინის კანდიდატურა ყველას გულში ერთხმათ იყო მიღებული სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე...

ეხლა კი მთელი გეგმა ჩაიშალა...

ჯერ მოხდა საბჭოთა ყრილობა

ყოველთვის ლენინი იყო, როგორც ხელმძღვანელი ამ ყრილობების, აგრეთვე თავმჯდომარე საბჭოთა მათვრობის.

მე-11 ყრილობას კი ეწვია სამწუხარო ბედი..

ის ვეღარ ირჩევს ლენინს...

ყრილობის წევრები დამწუხრებულნი ანებებენ თავს დიდ თეატრს.

არავის აქვს სურვილი არც მუშაობის, არც ლაპარაკის, არც აზროვნების.

მოსკოვს არ აქვს ჯერ ოფიციალური ცნობა დიდი მასწავლებლის სიკვდილის შესახებ.

მაგრამ მოსკოვმა უკვე იცის ის ამბავი, ის ინსტიქტიურად გრძნობს, რომ მოხდა საშინელი ამბავი.

და ქალაქი ღებულობს მგლოვიარე სახეს...

მწუხარებამ დაუარა ყველა ქუჩებს...

და ვერ ნახავთ ვერავის, რომ სახეზე საშინელი მწუხარების ბეჭედი არ აჯდეს.

საღამოზე გამოდის ბიულეტენი.

გაზეთების კიოსკებთან გრძელი კუდებია. შავ არშიით შემოფარგლული ბიულეტენი ყველას უკავია ხელში, ჩასჩერებიან სამწუხარო სიტყვებს და ენა ვერ ამოუღიათ.

ეხლა უკვე ფაქტია, ეხლა უკვე ყველამ გაიგო, რომ აღარ არის ლენინი.

მაგრამ მან დაგვიტოვა მთელ დედა-მიწის ზურგზე უზეკულო წეს-წყობილება — მუშაგლეხთა მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

ლენინი აღარ არის ფიზიკურად, მაგრამ ის სულიერად ჩვენთანაა.

მან დაგვიტოვა დიდი განძი:

— დიადი იდეა... ახალი ქვეყანა...

მან დაგვიტოვა ანდერძი:

— უპატრონეთ ამ ახალ ქვეყანას.

და მას ჩვენ ვუპატრონებთ... მისი პატრონობა, მოვლა, მისთვის თავის დადება, განწირვა ჩვენ გვასწავლა ლენინმა.

ლენინი ფიზიკურად მოგვშორდა.

მაგრამ რევოლიუციის მესაჭეთ ის მაინც დარჩა. ამ როლს მას ვერ წაართმევს ვერავითარი ძალა.

და დღეს, როცა ფიზიკურად მოგვშორდა ბელადი, მით უფრო მჭიდროთ, მით უფრო რევოლიუციონური თავდადებით შემოკრბეს ბელადის იდეების განსახორციელებლად მუშათა კლასი და იბრძოლებს მანამ, სანამ მუშათა კლასის დიადი ამოცანები არ იქნებიან მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული.

ა. **რუხაძე.**

მოსკოვი, 22 იანვარი.

# ᲰᲘᲛᲜᲘ ᲛᲖᲘᲡᲔᲣᲚᲡ.

ა.

სიბნელეში ვისხედით. ის მოვიდა და გვითხრა: მზეზე გამოდით. მზე დიდია და მრავალი სხივოსანი. დასტკბით მზითო.

სარდაფებში ვცხოვრობდით: მან გვათხრა: შეხედეთ, რამდენი სასახლეებია! ესენი ხომ თქვენი აშენებულია, შედით, იცხოვრეთო.

საშინელი ომი იყო. სისხლის ღვარში ვიხრჩობოდით. მან გვითხრა: რათ ღვრით სისხლსა, დაბრუნდით სახლშიო.

მაშინ ეს მარტივი, ადამიანური აზრი არავის არ მოსვლია თავში. მხოლოდ მას მოუვიდა. მოუვიდა და ჩვენთან მოვიდა ამ დიდი აზრით. ჩვენც დაუჯერეთ. ჩვენს სახლებში დავბრუნდით.

ბურჟუაზია მიხვდა, რომ მისი აღსასრულის დღე დადგა და იარაღი მოიმარჯვა:

მან გვითხრა: ხელები კისერში ბურჟუაზიას, ფეხები გულზეო.

ჩვენც მოვიმარჯვეთ იარაღი. ყელში ვწვდით მას, ვინც მუდამ ყელს გვჭრიდა; წავაქციეთ, და ფეხებით შევდექით მისს მკერდზე, ვინც ჩვენს მკერდს ქვეშ ადამიანობას აღარ ხედავდა.

— ველურებიო — გვესმოდა სისინი.

სასაცილოა. ჩვენ მხოლოთ სამაგიერო გადაუხადეთ. ჩვენ ის ვქენით აშკარათ, რასაც ჩვენვე გვიშვრებოდენ მალულათ, ვალი გადავიხადეთ.

— უსწავლელნი არიან, ქვეყანას დაანგრევენო, — გვაშიხებდენ.

— ნუ გეშინია პირველი ბურჟუა მმართველი უსწავლელიც იყო და ყაჩაღიცო, გვითხრა მან.

— ყაჩაღები არიან, ქვეყანას სძარცვაენო — გაკიოდენ.

— მჭიდროთ, ამხანაგებო! გაძარცვეთ მძარცველებიო, — დამშვიდებით გვითხრა მან.

ისეც ვქენით.

გავიდა დრო და ხანი. იქ, სადაც მონები ვიყავით — ბატონები გავხდით ჩვენივე ხელებით გავაკეთეთ ეს. თქა არ უნდა, ბევრი გვაკლია, ბევრი არა გვაქვს, მაგრამ გუშინდელი მებატონეს რომ მისი ბატონობა დაეკარგა, ესეც დიდი მიღწევაა. იხეტიალოს გზა აბნეული, იჩურჩულოს. ფუ! მეტი რა დარჩენია.

მან ესეც გვითხრა: სასიკვდილოთ დაჭრილი ბურჟუაზია საშიში არ არის თავისი ჩურჩულით, თუ მისი ბატონი თქვენ იქნებითო.

ბ.

მთელი ევროპა ჩიხში მოემწყვდა. სამშვიდობოსკენ გზას ეძებდენ და თითქოს განგებ ამ გზებს ხიფათისკენ მიყავდათ. მშვიდობიანობა-

ზე ლაპარაკობდენ და სისხლის ზღვას აყენებდენ.

ამ დროს კრემლში შედიოდა შუა ტანის კაცი, დიდი შუბლი ქონდა და სწრაფი ნაბიჯები. წარბებ შუა დიდი ნოჟი ქონდა. ნება დაურთველათ შევიდა მეფეთა სასახლეში და იმ დღესვე ნება დართო მუშებსა და გლეხებს დაემსხვრიათ ძველი კერპები, ძირს ჩამოეთრიათ ძველი ღმერთები.

არ გუგუნებდენ კრემლის ზარები, მაგრამ კრემლის სამრეკლოდან გუგუნებდა მისი ხმა.

ყოველს ჩაგრულს, ტანჯულს და მწარე ბედის გერს ესმოდა მისი მქუხარე ხმა. გულის სიღრმეში სწვდებოდა ეს ხმა და იწვევდა ბრძოლისკენ, მზიან ცხოვრებისკენ.

როგორ გვიყვარდა ეს ხმა!..

**გ.**

ჩუმათ! თავები დახარეთ! მესაფლავემ დაჭკრა ბარი. შავი არშია შემოერტყა წითელ დროშას, და დაიხარა ძირს წითელი დროშა. გადაეფარა მას, ვინც მუდამ მის ქვეშ იდგა.

ის აღარ არის.

ჩვენს ცას მოსწყდა ის დიდი მზე, რომელიც მუდამ მზიან ცხოვრებისკენ გვითითებდა.

საკვირველია! თავისი სიკვდილითაც რომ დიდი საქმე გააკეთა! შეგვაჯგუფა საფლავის კარებთან, რიგები გაგვიმაგრა. გვიჩვენა ის დიდი სიფრთხე, რომელიც მოგველის უმისოთ. გვიჩვენა და თითქოს გვითხრა:

— უჩვენეთ მტრებს რომ უზემობა შეგიძლიათო.

და ფიცი დავსდეთ სამარესთან, რომ მისს ანდერძს შევასრულებთ.

ისეთი ლამაზი იყო მისი ცხოვრება, რომ მტრებმაც კი დახარეს თავი მისი კუბოს წინაშე,

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა დავკარგეთ.

ამას მომავალი გვიჩვენებს, ვინაიდან ის მთელი თავისი ყოფნით მომავალი იყო.

**დ.**

და როდესაც მუშა დაკრავს უკანასკნელ ჩაქუჩს, რომ დაიმსხვრეს უკანასკნელი ჯაჭვი მისი მონობისა იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის ეს ჯაჭვი გაწყვეტილი;

და როდესაც ძველს ქვეყანას წესს აუგებს ახალი.

და როდესაც ასრულდება მისი ანდერძი მისი ცეცხლოვანი სიცოცხლით ჩირაღდანათ დატოვებული;

მაშინ მთელი ქვეყნიერება უმღერებს მას ჰიმნს გამარჯვებისას და სიხარულისას.

და ლეგენდათ გადაეცემა ის თაობიდან თაობას, საუკუნოებიდან საუკუნოებს.

ლამაზ ლეგენდათ, მზისეულ ლეგენდათ შრომის გამარჯვების უკვდავ ლეგენდათ.

**რ. ქორქია.**

# ასისინდნენ

ლენინი სცოცხლობს სიძულვილში ლენინიზმისა კომუნიზმისა და ბოლშევიზმისა ჩვენი მტრების გულში.

ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდი მასწავლებელის ცხედარი.

# ზიზღი სიკვდილს

გადაიშხამა ლოდინი წყნარი
და საიდუმლო მღელვარე სული.
ლიდერის კართან გაჩერდა წამი
დაშრა სიცოცხლე გაწვალებული.
იანვრის ღამემ წაიღო გლოვა.
ქუჩამ გაშალა შავი დროშები.
სიმშვიდე აწი დიდხანს არ მოვა,
დარჩება ფიქრი განაცები.
დადგა ტრაურის მძიმე დღეები.
საზღვარს გაცილდა მხურვალე ცრემლი.
ო, როგორ დადნა საყვირის ხმები,
მუდამ სათნო და პატივსაცემი.
ბევრი გამოჩნდა დღეს უნამუსო;
სიბნელის ყმა და წარსულის მონა.
დრომ მათ სახელსა ჯვარი დაუსო
და ტყვიის ლოდი იქ დააგორა.
მზეს გაადიდებს სიტყვა პირველი,
არ გაჩერდება გზაზე დევნილი.
ვადიდოთ მუდამ გულის მხილველი
უკვდავი არის დიდი ლენინი.

**ჰაგნელი ბზიკი.**

ჯერ კიდევ არ დაფარებია პირქუშ სამარეს საფლავის ქვა.

მტრები კი უკვე ასისინდა...

და ეს მოსალოდნელიც იყო.

ეს ასე უნდა მომხდარიყო.

ლენინის სიკვდილს რომ მშრომელი ხალხის მტერთა ბანაკში მწუხარება, ურვა დაეთესა, მისი ცხედარი კუბოში შეწუხდებოდა, შედრკებოდა.

ლენინის მთელი ცხოვრება, მთელი არსი მტრების წინააღმდეგ ბრძოლა იყო...

ბრძოლა დაუნდობელი, სასტიკი და ულმობელი.

ლენინის მრწამსი, იდეა, ოცნება მშრომელი ხალხის გამარჯვება იყო მთელს დედამიწაზე.

ამ იდეას შეალია მან თავის სიცოცხლე.

შემოახარჯა გენიალური ნიჭი და საარაკო ენერგია.

ხოლო მშრომელთა გამარჯვება მის კლასიურ მოწინააღმდეგეთა დაუმარცხებლად არ შეიძლება... არც შეიძლებოდა...

ამიტომ იყო, რომ ლენინი სასტიკი იყო მტრების წინააღმდეგ...

ამიტომ იყო, რომ მტრებსაც მისი ეშინოდა... სძულდათ ის...

და განა გასაკვირია ამის შემდეგ ის, რომ მშრომელი ხალხის მტრებს, ჩვენს მტრებს ლენინის სიკვდილმა ფრთები შეასხა?!

განა მათ ქუჩაზე ზეიმი ჩვენ დაგვაღონებს?

ჩვენ მაშინ დაღონდებოდით, რომ წინააღმდეგი მომხდარიყო.

ჩვენ ის შეგვაფიქრებდა, რომ ჩვენს მტრებსაც ეგლოვა ლენინის დაკარგვა.

ჩვენ მაშინ შეეფიქრდებოდით, ხომ არ გადაგვიხვევია? ხომ არ ავცდით მშრომელთა დაცვით მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას?

დღეს ჩვენი მტრები ზეიმობს...

და ჩვენ თამამად ვიცქირებით წინ...

მაშასადამე ჩვენი გზა სწორი ყოფილა.

ვერ გადაგვახვევინებს ამ გზიდან ვერც ერთი ძალა...

ტყუილი იმედები აქვს ჩვენს მტრებს...

ლენინი მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა ლენინის მიერ აღზრდილი პარტია.

აღარ არის ლენინი, მაგრამ მისი მოწაფეები მასი გზით არა ნაკლები ენერგიით და გაბედულობით გაემართებიან.

დიდი, მძიმე და ეკლიანია ჩვენი საფალი გზა.

ის ჯერ კიდევ გრძელია.

ჩვენ გაგვიჭირდება ამ გზაზე სვლა ულენინოთ, მართალია ეს...

მაგრამ...

ვიპოვით გზას.

კოლექტიური აზრით, პარტიის კოლექტიური ნების ყოფით — ვიპოვით" — წაიღლეთ წინ ლენინიზმის ლამპარით ხელში".

ჩვენმა გენიალურმა ბელადმა დაგვიტოვა ანთებული ლამპარი.

სანამ ანთია ის, ჩვენი გზაც სწორი და გარკვეული იქნება... ხოლო ამ ლამპარის ჩაქრობას ვერ იხილავს ჩვენი მტრები, რადგან ის ანთია თვითეული მშრომელის მკერდში...

მის ჩასაქრობად, მშრომელთა მკერდი უნდა გაიპოს...

უამისოდ მტრები ვერას გახდება...

ისისინეთ, ისისინეთ, თქვენ ლამის რაინდნო!

დღეს თქვენ ხარობთ...

ჩვენ ეგლოვობთ...

ისისინეთ...

მშრომელი ხალხი გესლიან სისინს, ისტერიულ ხარხარათ ჩქარა გადაგიქცევთ.

ის დაგანახვებს თქვენ, რომ ლენინი არ მომკვდარა...

ლენინი ცოცხალია და ცოცხალი იქნება მარად.

**ვ. ქოროშელი.**

# გლოვა.

არის მზადება,

მაგრამ მიწა ჩქარა ტრიალებს მზის გარშემო და ენერგია

ვერ ასწრებს მომზადებას.

ექვსი დღე არ ჰყოფნის ტრაურის შექმნას.

ბიბლიის შვიდი დღეა საკმარო, რომ შვიდ წელიწადში

ახალი ქვეყნის შემქნელს ღირსეულად გამოეთხოვოს.

ქუჩები სავსეა მორწმუნეებით.

საპატიო გუშაგები გაქანდაკებულან მახვილით ხელში.

დაყრუებულან პანთეონები.

სიცოცხლის ნაცვლად ინერცია მოძრაობს.

ისმის სამგლოვიარო მარში.

მელანქოლია ისადგურებს სულში.

ტუჩებზე კვდება ღიმილი.

ზღვაოდენი საზოგადოება ეხვევა ქუჩებს.

უცქერის მის პორტრეტს.

პორტრეტი მოუთხრობს საუკუნეების ისტორიას.

წითელ დროშებს შავი არშიით აბიბინებს ცივი ბორიო.

სვეტები ძაძებში გახვეულან.

დაჩაგრულთა გულები ვერ გაშოეთბოვებიან თავის

განმათავისუფლებელ მესიას.
ერთი დღე კიდევ
შაბათი დიასახლისობს.
მზის სხივები ეალერსებიან ობლებს.
დაღამდა.
ჭუჭები კალაპოტებია და საზოგადოება მდინარე...
დაუსრულებელი მიმდინარეობა.
მთვარე ამოცურდა და გადმოხედა თბილისს.
ის მეთვალყურეა.
მოეწონა გლოვა.
კვირა.
ზუნება ჰგლოვობს.
მზე აღარა სჩანს.
ღრუბლებს ამოეფარა იგი.
ვერ გაუძლო ამ მწუხარებას.
ცა თალხშია.
ნისლმა დანასტა სული.
სიცოცხლეს სილამაზე ერთმევა.
ისმის ქარხნების გოდება...
სამგლოვიარო მარში ცას და გარემოს სწვდება
დაუსრულებელი პროცესსია.
თრთოლავენ ნერვები.
ცას უნდა აცრემლდეს, მაგრამ
მებრძოლთა არმიამ არ იცის ცრემლი.
ეს, თითქოს, შეურაცყოფა იქნება მისი.
ცრემლის ნაცვლად სისხლს დაღვრის და ეს იქნება ღვთაების პატივცემა.
მილიონებით მოდიან და ფიცს სდებენ მის წინაშე.
სად არიან ღმერთები?
ნუ თუ ვერ ხედავენ, რომ უარყვეს ისინი?!
ნუ თუ ვერ ხედავენ, რომ ახალი ღმერთი ეს არის?
აჰა, უკანასკნელი წუთი.
სასაფლაოს აკლდამა და მახლობლად კუბო.
იგრიალეს ქვემეხებმა.
ეს ხომ ნიშანია.
მზე ესვენება...
ჩაესვენა.
გამეფდა მისი საფლავის სიჩუმე.
მკვდარი უფრო ვვეყვარება.
მკვდარი უფრო ძლიერია.
მკვდრის პატივისცემა უფრო მეტი გვექნება.
მკვდრის წინაშე მეტი ვალდებული ვართ.
მისი აჩრდილი თან გაგვიძღვება ბრძოლაში.
გვწყურია ბრძოლა...
ბრძოლა, რათა მალე ჩავძახოთ ჩასვენებულ მნათობს:
ყველა ქვეყნის სასახლეებზე და მთების მწვერვალებზე ფრიალებს წითელი დროშა; წამებული მიწა განთავისუფლდა და სიცოცხლე მასზე არის ნეტარება.

**გაროლდი.**

# ცნობა ამხ. ლენინის ავადმყოფობის და გარდაცვალების შესახებ.

ავადმყოფობა დაიწყო 1922 წ. დამლევს. ავადმყოფობის დასაწყისის სისწორით განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან იგი ძალიან ნელა ვითარდებოდა და თან და თან ღრღნიდა მის მძლავრ ორგანიზმს მის მოქმედების გაფურჩქვნის ხანაში, ამასთანავე თვით ვლადიმერ ილიჩი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა თავის ავადმყოფობას. 1923 წ. მარტში ექიმებმა, რომელთაც ვლადიმერ ილიჩი გასინჯეს, ვერ შესძლეს აღმოჩენა რაიმე ორგანიულ დაზიანებათა, როგორც ნერვიულ სისტემის, ისე შინაგან ორგანოების მხრივ. მაგრამ ძლიერი თავის ტკივილის და დაქანცულობის მოვლენების გამო, მას წინადადება მიეცა დაესვენებია რამდენიმე თვის განმავლობაში, რის გამოც ის გადასახლდა გორაკში.

## ლენინის ხსოვნას.

(მუშის ამონაკვნესი)

ყველა ძაძით შემოსილა,
გლოვა წვდება კიდით-კიდეს;
როს ბუნება აქვითინდა
ძალუძს ვინმეს ცრემლს არ ღვრიდეს?
იმისი ხმა გრიალს ჰგავდა,
გული კი ზღვას აღელვებულს:
და ცხოვრება გენიოსის,—
მუდამ ბრძოლას, ცეცხლად ქცეულს!
აწი წინ ვინ გაგვიძღვება,
ან და ვინღა დაგვარიგებს:
უდიდესი მეთაური—
გამოაკლდა ამ ჩვენ რიგებს!..
ცეცხლის სიტყვა ვინ აფრქვიოს,
ბრძოლის ჰანგი ვინ გვიმღეროს;
და ლენინის აღარ ყოფნა
მსოფლიომ ვით დაიჯეროს?!..
მაგრამ იგი არ მომკვდარა,
წამით გვფლობდეს მწუხარება:
განთიადი ხომ გვაჩვენა
ხომ შემუსრა მდუმარება....

**აპალონ სპირდონიძე.**

---

9 მარტს დაიწყო მძიმე შეტევა, რაც გამოიხატა სხეულის მარჯვენა ნახევრის სიდამბლეში, რამაც ერთბაშად მტკიცე ხასიათი მიიღო. მაისის შუა რიცხვებში, იმ მიზნით, რომ ჰაერი სასურველ გავლენას მოახდენდა ავადმყოფზე, ვლადიმერ ილიჩი გადაყვანილ იქნა გორკაში, სადაც დარჩა ავადმყოფობის უკანასკნელ დრომდე გორკაში თავდაპირველად ცოტაოდენი გაუმჯობესება დაეტყო მას, მაგრამ ივნისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის პროცესი გამწვავდა აღგზნების და უძილობის მოვლენებით, რაც ერთ თვემდე გაგრძელდა. ივლისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის მოვლენები მიყუჩდენ და ამ დროიდან დაიწყო ნელი, მაგრამ თანდათანობითი გაუმჯობესების პერიოდი. ყოველ დღე ვლადიმერ ილიჩი დადიოდა სასეირნოთ მოძრავ სავარძელით ბაღში, სულიერი განწყობილება კარგი ჰქონდა. ჭამის მადა და ძილი ნორმალური ჰქონდა. თან და თან მან დაიწყო სიარული სხვისი დახმარებით, ხოლო აგვისტოს დასაწყისში შესაძლებელი გახდა მეტყველების დაკარგულ უნარის აღდგენის ცდა. ამ მიზნით სწარმოებდა ვარჯიშობა სისტემატიურად თავდაპირველად ექიმების მიერ, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ილიჩის მეუღლის—ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მიერ ისევ ექიმების ხელმძღვანელობით. ავადმყოფის ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა თავიდანვე იკისრა მისმა დამ მარია ილინიშნამ და დაუღალავად განაგრძო ეს საქმე ბოლომდის. სექტემბერში ვლადიმერ ილიჩს შეეძლო სხვის დაუხმარებლად ასვლა-ჩამოსვლა კიბეზე, ისე, რომ არ დაყრდნობდა სახელურს. სექტემბერში ის თავისუფლად დადიოდა ოთახში ჯოხით ხელში.

სექტემბერში ის თითქმის ყოველ დღე დადიოდა სასეირნოთ ტყეში ავტომობილით და რჩებოდა აერზე 2—3 საათი. მეტყველება თანდათან გაუმჯობესდა. ვლადიმერ ილიჩი ყოველდღე იღებდა გაზეთს, ათვალიერებდა მას და თითით უჩვენებდა იმ წერილზე, რომელიც მისთვის უნდა წაეკითხათ. ძალიან დაინტერესებული იყო მათი შინაარსით და ჩქარა დაიწყო მან ვარჯიშობა მარცხენა ხელით წერის შესასწავლად.

ზამთრის მზიან დღეებში, ვლადიმერ ილიჩი დადიოდა მარხილებით ტყეში მონადირის თანხლებით: ამ სეირნობის დროს ის კარგადა გრძნობდა თავს და მხიარულად იყო. შობას დადგმული იქნა შობის ხე ბავშვებისათვის. დაესწრო ვლადიმერ ილიჩიც; ის მხიარულად იყო და ზრუნავდა იმაზე, რომ ბავშვებისათვის ხელი არ შეეშალათ თამაშის დროს.

მოსალოდნელი იყო, რომ ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობა გაუმჯობესდებოდა, თუმცა თანდათან, მაგრამ წინასწარი ნიშნების მოკლე ხნის შემდეგ, 21 იანვარს საღამოს მოხდა კატასტროფა: თითქმის ერთი საათი გაგრძელდა მწვავეთ განვითარებული და სწრაფად მიმდინარე პერიოდი, რაც გამოიხატა ცნობიერების სრულ დაკარგვასა და კუნთების საერთო დაჭიმულობაში, საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე ავადმყოფი გარდაიცვალა სუნთქვის სიდამბლის და ჰიპერტერმიის გამო (სხეულის ზედმეტად გაცხელების—42,3°-დე). სიკვდილის დასასრული გათვალისწინებული იყო პროფე-

სორ ფერსტერის, ოსიპოვის და ექიმ ელისტრატოვის მიერ, რომლებიც ავადმყოფთან იყვენ უკანასკნელ წუთამდე და უჩენდენ მას დახმარებას.

ვლადიმერ ილიჩის დაავადების დასაწყისიდან და ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, რათა გამორკვეული ყოფილიყო ავადმყოფობის ხასიათი და აღდგენილი ყოფილიყო მისი ჯანმრთელობა. ავადმყოფს მუდმივად თვალყურს ადევნებდენ ექიმები. პერიოდულად იმართებოდა კონსილიუმები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ რუსეთის და საზღვარ-გარეთელი პროფესორები და ექიმები, რომელთა ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავადმყოფის მკურნალობაში. უკანასკნელ კონსილიუმი გაიმართა 1924 წ. 15 იანვარს. ვლადიმერ ილიჩის მკურნალობასა და კონსილიუმებში მონაწილეობდენ პროფესორები: დარკშევიჩი, ფერსტერი, კლემპერერი, ბორხარდი, როსოლიმო, კრამერი, მინკოვსკი, შტრიუმპელი, გენშენი, ნონო, ბუმკე, ვეისბროტი, ავერბახი, ბეხტერევი, ოსიპოვი, ფელდბერგი, ექიმები: კოტეენიკოვი, ლევინი, გოტიე, ელისტრატოვი, ობუხი, როზანოვი, დობროგაევი, პოპოვი და ჯანმრთელობის სახ. კომისარი სემაშკო.

განსვენებულის გვამის განკვეთა მოახდინა 22 იანვარს პროფესორმა აბრიკოსოვმა, პროფესორ ფერსტერის, ოსიპოვის, გენშენის, ვეისბროტის და ბუნაკის, ექიმ გოტიეს, ელისტრატოვის, როზანოვის, ობუხის და ჯანმრთელობის სახ. კომისარის სემაშკოს თანდასწრებით. განკვეთის დროს გამოირკვა—მკვეთრად გამოხატული საერთო სკლეროზი (სისხლის ძარღვების დაავადება), არტერიო-სკლეროზის ნიადაგზე მომხდარ გარბილებათა დიდი კერები თავის ტვინის მარცხენა და ნაწილობრივ მარჯვენა ჰემისფეროებში და ახალი სისხლის ჩაქცევა ოთხ გორაკის მიდამოში.

განკვეთა და ავადმყოფობის ისტორია ამტკიცებს, რომ ვლადიმერ ილიჩის ერთად-ერთი ავადმყოფობა იყო თავის ტვინის სისხლის მილების გავრცელებული და მკვეთრად გამოხატული ძველის-ძველი სკლეროზი, რაც შედეგად მოჰყვა ტვინის ძალიან დიდ მუშაობას; გარდა ამისა ავადმყოფს ჰქონდა შთამომავლობითი მიდრეკილება სკლეროზისადმი. ტვინის არტერიების სანათურების შევიწროების და კვების დარღვევის გამო, განვითარდა ტვინის ქსოვილის გათხელება, რითაც იხსნებოდა ავადმყოფობის ყველა წინასწარი სიმპტომები: (მეტყველების მოშლა და სიდამბლე) გარდაცვალების უშუალო მიზეზი იყო თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ძლიერი დაშლა და სისხლის ჩაქცევა ოთხ გორაკის მიდამოში.

ამგვარად განკვეთამ დაამტკიცა, რომ ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა განუკურნებელი ავადმყოფობის პროცესი სისხლის მილებში, რომელსაც, მიუხედავათ ყოველგვარ ზომებისა, უსათუოთ უნდა მოჰყოლოდა საბედისწერო დასასრული.

**პროფესორები:** ფერსტერი, ოსიპოვი, აბრიკოსოვი, ფელდბერგი, ვეისბროტი, გენშენი, ჯანმრთელობის სახ. კომისარი: სემაშკო.

# ლენინის დაკრძალვის დღე თფილისში.

27 იანვარს გათენდა ნაღვლიანი, მტირალი დილა.

თითქოს ბუნებამაც იგრძნო დიდებული ადამიანის დაკარგვა და მას გლოვობდა. მწუხარება და გლოვა ეტყობა ყველას და ყველაფერს. ადამიანები ისე დადიან, როგორც აჩრდილები. თვით უპარტიო მასსაც დამწუხრებულია. ყველა გლოვობს, ყველას მტირალი და მგლოვიარე სახე აქვს.

თფილისი სამარეს გავს. მას არ აქვს თავისი ჩვეულებრივი იერი, ის სულ გამოცვლილია.

ასეთი თფილისი ჩვენ ჯერ არ გვინახავს. შავი ტრაური დაუფლებია ქუჩებს, მოედნებს, სასახლეებს.

ქუჩებს მიჰყვებიან შავი სვეტები, როგორც მგლოვიარე ჭირისუფლები.

სვეტებს შორის გაბმულია პლაკატები, რომელზედაც შავი ასოებით წაწერილია დიდებული ადამიანის აზრები.

სასახლეების რუხი კედლები შემოსილია შავწითელი ფარჩეულით, რომელიც გაფენილია კედლებზე სიმეტრიულად.

მაღაზიების ვიტრინები შებერვილია შავად და შუაში ყველგან დაფნით შემკული სდგას **დიდი კომუნარის** ბიუსტი ან სურათი.

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა შენობების ფასადების ზედა კედლებზე ბრწყინვალე ელექტროს ვარსკვლავები და გერბები.

თავისუფლების მოედანზე აღმართულია შავი კოლონები, მოედნის შუა ალაგას აგებულია დიდი არკა, რომელიც შემოსილია წითლად და შავად.

არკას ორ მხარეზე, მარჯვნივ და მარცხნივ აქვთ საფეხურები, რომლითაც არკაზე ასვლა შეიძლება. არკას ამშვენებს ვარსკვლავი და საბჭოთა გერბი.

მთელი მოედანი მოკაზმულია იშვიათი გემოვნებით.

დილის 8 საათიდან წარმოებათა და დაწესებულებათა შენობების წინ მწკრივდებიან მუშა მოსამსახურეები.

ყოველ ჯგუფს წინ მიუძღვის **ლენინის** სურათი სათუთი ხელით შემკული და გამშვენიერებული. ყოველ კუთხეში სამგლოვიარო მუსიკის ხმა ისმის.

დილიდანვე ქალაქს თავს დასტრიალებენ მფრინავები. ისინი ხმაურით არღვევენ ქალაქის მყუდროებას და სამგლოვიარო ფურცლებს ყრიან ზევიდან.

11 საათზე კომპარტიის ცეკას წინ მწკრივდებიან წარმოების და დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი და წითელ არმიელთა ნაწილები.

არიან მახლობელ სოფლებიდან და მაზრებიდან ჩამოსული გლეხი დელეგატები.

„ზაკროსტას“ აივანზე მოწყობილი იყო რადიო აპარატი. აქედან მრავალ ათასოვან ხალხს ელაპარაკებიან სამგლოვიარო სიტყვებს.

მიკროფონის საშუალებით წაკითხულ იქნა დეპეშით მიღებულ ლენინის მეუღლის კრუპსკაიას სიტყვა. სიტყვით მიმართა ხალხს აგრეთვე გაზ. „კომუნისტის“ წარმომადგენელმა ბუაჩიძემ.

3 საათზე პროცესია დაიძრა რუსთაველის პროსპექტიდან თავისუფლების მოედნისაკენ. სასახლესთან სიტყვას ამბობენ საქართველოს ბოლშევიზმის ვეტერნ არებამ. იმიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე. მათი სიტყვები სავსეა მწუხარებით, გლოვით და იმედით.

ლენინი მოკვდა, მაგრამ მის საქმეს გააგრძელებს კომპარტია, ლენინი ბელადი იყო არა მარტო მუშათა კლასის, არამედ ყველა ქვეყნის დაჩაგრულ ხალხის, გაისმოდა ყველა სიტყვებში.

ამის შემდეგ სიტყვას ამბობს გურული გლეხი სეფე მახარაძე, რომელიც ასურათებს იმ ღრმა გულის ტკივილს და მწუხარებას, რომელიც გამოიწვია გლეხობაში ლენინის დაკარგვამ.

ამხ. სეფე მახარაძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს კიდევ რამდენიმე ამხანაგებმა. სასახლიდან ლენინის სურათს მიასვენებენ თავისუფლების მოედანზე, სადაც მას აღმართავენ. არკას ზევით. მის მარჯვნივ და მარცხნივ სდგას საპატიო ყარაული. იქვე სდგას ტრიბუნა, სადაც გაისმის მწყობრად მიმავალ პროცესიის წინაშე წარმოთქმული ლოზუნგები. აქ არ ლაპარაკობენ ცალკე ამხანაგები, ცალკე ჯგუფები, აქ ლაპარაკობს მთელი პარტია, ერთი აზრის და ერთი ნებისყოფის გამომხატველი

# ლენინს.

პატარაობით გულს ჩაგწვდა
ჩაგრულთა მწარე ჩივილი,
მათთან იყავი ბოლომდე
იგრძენ იმათი ტკივილი.
არ გაშინებდა განწირულს
ციხე, კატორღა, მუქარე,
შიშის ზარს სცემდა მყვლეფელებს
შენი ხმა მუდამ მჭუხარე
გაწრთვენილმა მაშრალთ ლაშქარმა
ერთობ დალეწა ხუნდები
და ცეცხლის ბარიკადებზედ
ამღერდნენ მშრომელთ გუნდები.
მოისპო ჩაგვრის ქვეყანა,
მზე ამობრწყინდა დიადი
და გადიკარგა უფსკრულში
მტარვალთ სამეფო წყვდიადი.
დღეს აღარ გვყეფხარ, მოძღვარო,
სიკვდილს დაუდგეს თვალები,
რომ არ დაგინდო ბელადი
ესოდენ განაწვალები....
აკვნესდა მშრომელთ სამეფო
წითელს თან ახლავს სუდარა,
აწ აღარ გესმის, ლენინო,
ჩვენი ქვითინი.. მუდარა....
თუმც მოკვდი... ისევ ჩვენთან ხარ,
წინ გვიძღვის შენი ლამპარი,
მტარვალებისთვის მზათა გვაქვს
გულ გასაგმირად ლაბვარი.
მარად ვიბრძოლებთ ანთებით,
ძირს აღარ დაგბრით დროშასა,
სანამდის არ გავამეფებთ
თავისუფლება ქმობასა.

**ნინო ფერაძე.**

რიგები მიდიან და მოდიან, დაუსრულებლად გაისმის მოწოდების ხმები, რომელიც ამხნევებს გულს და აკაჟებს მშრომელთა ნებისყოფას.

4 საათზე ისმის სალიუტის ხმა. ამ წუთში საფლავში ასვენებენ რევოლიუციის აზრს, სინდისსა და ნებისყოფას.

პროცესია მდუმარეთ ადგებს და მწუხარე გრძნობით ისმენს რექვიემს.

დასრულდა სალიუტი და მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს,—ამ აქტში გამოიხატა მშრომელთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ნება და ბასიათი.

მან იცის გლოვა, მაგრამ მხნეთ და მედგრათ მოელის მრავალ ბრძოლებს.

ამის შემდეგ სამგლოვიარო პროცესიის მომწყობ კომისიის გეგმით დემონსტრაცია თან და თან იშლება. პროცესია დაიშალა. მოსალამოვდა. მწუხარება და გლოვა არ შემწყდარა. ბუნება ატირდა. გადმოყარა მწუხარების ცრემლები. ტრაური ძლიერდება.

ასეთი ტრაური ჯერ არავის უნახავს: ასეთ ეროსულოვან მწუხარებას ჯერ არავინ მოსწრებია. გენიოსის დასაფლავება მართლაც გენიოსური იყო.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვერ დაეხატეთ სრული სურათი იმ გრძნობისა, რომლითაც ხალხმა იგლოვა ძვირფასი ადამიანის, შეუდარებელი წინამძღოლის დაკარგვა. ძნელია ასეთი სურათის მოცემა. ის აღემატება მომაკვდავი ადამიანის ძალღონეს.

აქ გრძნობაა, გრძნობა უსაზღვრო სიყვარულისა მასწავლებელისადმი. ამ გრძნობით განმორდა ლენინს მუშათა კლასი.

მეორე დღესაც არ შეწყვეტილა გლოვა. თფილისი ისევ დამწუხრებული იყო, როგორც 27 იანვარს. ჭეშები და დაწესებულებები ისევ მტირალნი გამოიყურებოდნენ, ყველას სახეზე სევდა, კაეშანი იყო ამოტეტიული.

ასე იგლოვა, იტირა თფილისმა თავისი მასწავლებელი, ძვირფასი ლენინი.

არა ნაკლები სიმწუხრით და გლოვით გამოიტირა დიდი ლენინი საქართველოს სხვადა სხვა კუთხეებმა. ყველგან გლოვა... გლოვა... და კიდევ გლოვა...

# ვინ გამოდგა მართალი?

ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობის დროს მენშევიკური პარტიის ცეკისტები დიდ ამბებში იყვნენ.

იმის მაგიერ, რომ ეთქვათ სიმართლე მუშათა-კლასისთვის და დროზე ეჩვენებინათ ჩვენი წინანდელი გზის მთელი სიყალბე, მათ მოუხსნეს თავი დემაგოგიას, ლანძღვა-გინებას, ცილისწამებას, ააყენეს ნამდვილი კორიანტელი უთავბოლო ლანძღვა-გინებისა და ფიქრობდენ ამით ჩვენს გაბიაბრუებას.

მაგრამ მუშებმა მონახეს თავისი გზა.

ბელადები კი განზე იდგენ და თავს დაგვძახოდენ:

— სად იკარგებით? ჭკუაზე მოდითო.

**დღეს აშკარა გახდა ყველასთვის, თუ ვინ იყო ჭკუაზე, თუ ვინ იდგა სწორ გზაზე. ჩვენ თუ ისინი.**

ს. დევდარიანი, მართალია, თავის უკანასკნელ წერილებში ჩვენი ყრილობის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ **95% იმისა, რაც ჩვენ ვთქვით, რაც ჩვენ ვაღიარეთ სრულიად გულწრფელად, უკვე მიიღო მან.**

ჩვენ დიდი კამათი გვქონდა ს. დევდარიანთან ყრილობის დღეებში და ყრილობის შემდეგაც რამდენიმე კვირა.

მაშინ ს. დევდარიანი, მართალია, ეძებდა ახალ გზებს. მაგრამ ამ ძებნის პროცესში ის ვერ გასცილდა 1921 წლის 10 აპრილის რეზოლიუციას, როცა ჩვენ მას ვუპასუხებდით, რომ 10 აპრილის რეზოლიუციის ნიადაგზე სრულიად შეუძლებელია შეთანხმება კომუნისტებთან, ის გაცხარებით გვეკამათებოდა და გვიმტკიცებდა, რომ ამაზე მეტი რაღა უნდა გვექნა ჩვენო.

**მაგრამ დღეს, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა 10 აპრილის რეზოლიუციის უნიადაგობა.**

ის აღიარებს, რომ 10 აპრილის რეზოლიუციას უნდა მოეხსნას მეორე ნაწილი, ე. ი. ფორმულა „დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ“, ვინაიდან ეს არის დაპირისპირება საბჭოთა ხელისუფლებასთან, ხოლო ასეთ პირობებში ლაპარაკი შეთანხმებაზე, თანამშრომლობაზე კი შეუძლებელი არისო.

მართლაც, რას ვამბობდით 10 აპრილის რეზოლიუციაში?

ჩვენ ვამბობდით:

— თანახმა ვართ ბოლშევიკებთან შეთანხმების. უნდა ვითანამშრომლოთ მათთან კულტურულ და სამეურნეო დარგებში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ძველს გზას, ის სწორია. ფორმულა „დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ“ უნდა დარჩეს ძალაში. ამის განხორციელებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

რას ნიშნავს ეს?

კომუნისტებს ჩვენ უთხარით: თქვენთან მოვდივართ სამუშაოდ. ვიმუშავოთ ერთად. მაგრამ ამ მუშაობის პროცესში თქვენ უნდა დაგამხოთ, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა დავანგრიოთ და დემოკრატიული მმართველობა უნდა გავანხორციელოთო.

შეიძლებოდა ასეთ პირობებში მათთან შეთანხმება?

ან რომელი სულელი გვენდობოდა?

**ამნაირათ 10 აპრილს 1921 წელს ჩვენ კი არ ვურიგდებოდით კომუნისტებს, ჩვენ მათ ომი გამოუცხადეთ.**

და ტყუილია, როცა ამბობენ, თითქო 10 აპრილს ჩვენ შერიგება დავაკანონეთ.

პირადათ მე და ბევრ ამხანაგებს მაშინ ეს რეზოლიუცია არ მოგვწონდა.

არ მოგვწონდა იმიტომ, რომ ეს რეზოლიუცია იყო მეტად დიპლომატიური, მეტად დაგრეხილი და მასში არ იყო გამბედაობა.

ჩვენ უნდა პირდაპირ გვეთქვა:

ან ბრძოლა, ან სრული შერიგება

მაგრამ ამ კრებამ ვერ შესძლო მაშინ გაბედული ნაბიჯის გადადგმა.

**ჩვენ ამ შემთხვევაშიაც აღმოვჩნდით ისეთი გზა არეული, როგორ მუდამ ჩვენს პოლიტიკაში.**

ვინ იყო ამ რეზოლიუციის ავტორი?

— ს. დევდარიანი.

ის იყო მომხსენებელი მაშინ და მან წარუდგინა კრებას ეს რეზოლიუცია.

რამდენიმე წევრი ამ კრებისა, უმთავრესად მუშები ამ კრების დაშლის შემდეგ წავიდენ ერთ მუშის ოჯახში და ქონდათ მსჯელობა მიღებული რეზოლიუციის შესახებ.

მეც დავესწარი ამ კრებას.

არ ვიყავი მომხრე ამ რეზოლიუციის. ვგრძნობდით, ეს რეზოლიუცია, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იყო კრების უმრავლესობის მიერ, არ გამოხატავდა კრების ნამდვილ გულის ნადებს.

მაგრამ გადაჭრილ გზას მაშინ ვერ დავადექით.

10 აპრილის კრების მეორე თუ მესამე დღეს თავისუფლების მოედანზე შემხვდა გრ. ლორთქიფანიძე, რომელიც ახალი ჩამოსული იყო ტფილისში.

სადილობის დრო იყო. აქვე ერთ-ერთ სასადილოში შევედით სადილის საჭმელად. შემოგვიერთდა კიდევ ერთი ამხანაგი. აღარ მახსოვს ვინ იყო.

ჩამოვარდა ლაპარაკი 10 აპრილის რეზოლიუციაზე.

გრ. ლორთქიფანიძეც არ იყო მომხრე ამ რეზოლიუციის.

— ტყუილა მიაკერეთ მას „დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენო“,—ამბობდა ის,—ამ გზით თქვენ ვერასოდეს ვერ შეუთანხმდებით კომუნისტებსო.

და ეს გამოდგა მართალი.

დღეს ეს აღიარა თვით ამ რეზოლიუციის ავტორმაც, ს. დევდარიანმა.

ს. დევდარიანი უბრალო პირი არ იყო მენშევიკურ პარტიაში.

როგორც პუბლიცისტს, მას ნ. ჟორდანიას შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა პარტიაში.

ჩვენ დიდი კამათი გვქონდა ს. დევდარიანთან ჩვენი ყრილობის შემდეგ. ვდავობდით საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხში, პროლეტარიატის დიქტატურაზე, საბჭოთა ხელის უფლების შესახებ და სხვა.

და ეხლოლოთ დიდი ბრძოლის შემდეგ ამ საკითხებშიაც დაგვეთანხმა ჩვენ ს. დევდარიანი თავის უკანასკნელ წერილებში.

მან აღიარა, რომ საქართველოს გზა მხოლოდ რუსეთისკენაა, რომ რუსეთის გარეშე მას არ შეუძლია არსებობა, რომ ვერც ერთი სხვა სახელმწიფო და ვერც სრული დამოუკიდებლობა, თუნდაც მენშევიკების ხელში, მას ვერ ჩააყენებს უკეთეს პირობებში.

მან მიიღო აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლებაც, როგორც სისტემა ამ დიქტატურის გატარების.

ს. დევდარიანი ამბობდა, რომ მენშევიკური პარტია ერთ დღესაც არ იარსებებს, თუ მას დაუმტკიცდება ბანდიტებთან კავშირი და ინტერვენციის მიღებაო.

ვანო ხმალაძის წერილების წაკითხვის შემდეგ ის დარწმუნდება, რომ პარტია იყო გასვრილი ამ საქმეში.

ჩვენ ვიცოდით ყველაფერი ეს. გვქონდა საბუთი იმისა, რასაც ვამბობდით.

**მაგრამ თუ ყველა ეს საბუთები ვერ გადმოვალაგეთ მაშინ გაზეთების ფურცლებზე, მხოლოთ იმიტომ, რომ ელემენტარული ზრდი-**

ლობა, პოლიტიკური „ჯენტლემენობა“, უბრალო ეთიკა და ათეული წლების ტრადიცია ამ პარტიაში მუშაობისა გვაიძულებდა თავი შეგვეკავებია კონკრეტული ფაქტების გამომჟღავნებისგან.

და ძალიან გვიკვირდა, **თუ რატომ არ იცოდა ეს ფაქტები ს. დევდარიანმა, ცეკას წევრმა.**

ყველა ჩვენთაგანისთვის აშკარა იყო, როგორც ორჯერ ორი ოთხი, რომ ცეკას კავშირი ქონდა ბანდიტიზმთან, რომ ცეკა აწყობდა სისხლის სამართლის საქმეებს, რომ ცეკა თავიდან ფეხებამდე იყო ამოსვრილი ტალახში. მიზეზი ამისა კი იყო პარტიის პოლიტიკა, ხაზი, რომელიც მიაქანებდა ამ ავანტიურისკენ პარტიულ მასას.

რასაც ჩვენ ჩვენს კონფერენციებზე და ყრილობებზე ვამტკიცებდით, ეს დღეს უკვე აღიარა თვით ცეკას აპარატში აქტიურმა მომუშავეებმა.

ისტორიამ უკვე გამოიტანა თავისი მსჯავრი.

ს. დევდარიანის თეორიული ხასიათის წერილები, ხოლო ვანო ხმალაძის ფაქტებით სავსე აღსარება, ეს ტრიუმფია, ფეიერვერკული გამარჯვებაა ჩვენ მიერ დასახული გზის.

ის ბრალდებანი, რასაც ჩვენ მათ ვუყენებდით ჩვენს დებულებებში, დეკლარაციებში და რაც იყო მიზეზი ჩვენ მიერ პარტიის ლიკვიდაციისა, მათ უკვე ფაქტებით ხელში დაადასტურეს, ამას შემდეგ პირდაპირ სამარცხვინო ხდება ყველასთვის მენშევიკურ პარტიაში ყოფნა, მენშევიკათ თავის დასახელება.

მაგრამ ს. დევდარიანზე ჩვენ მაინც გულნაკლულნი ვართ.

და აი რატომ.

ჩვენ გვწყინს, რომ **მან ადრე არ სთქვა ის, რასაც ეხლა ამბობს.**

ს. დევდარიანი კომუნისტური პარტიის პროგრამიდან იღებს 95 %-ს და ამ ნიადაგზე იტოვებს მენშევიკურ პარტიას ახალ ფორმებში ჩამოყალიბებულს, რომელიც მისი აზრით, არ იბრძოლებს ძალაუფლებისთვის.

ეს აზრი გამოსჩვივის მისი უკანასკნელი წერილებიდან.

მაგრამ ს. დევდარიანმა უნდა იცოდეს, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც არ იბრძვის ძალა-უფლების ხელში ასაღებად.

ასეთი ჰერმაფროდიტული პარტია იყო მხოლოდ ჩვენში—მემარცხენე ფედერალისტების. ძალა-უფლებისთვის არ იბრძოდენ, კომუნისტური პარტიის პროგრამას თავიდან ბოლომდე იღებდენ, მაგრამ რისთვის არსებობდენ, არც თვითონ იცოდენ. მხოლოდ მესამე წელს თავიანთი არსებობისა ისინი დარწმუნდენ, რომ მათი დამოუკიდებლად არსებობა სრულიად უმიზნო იყო და ისე ჩუმად გაქრენ, რომ დღესაც ვერავინ ამჩნევს მათ გაქრობას ჩვენი პოლიტიკური ასპარეზიდან.

**ამნაირი პარტიის აღდგენა ეხლა მენშევიზმის ნანგრევებზე იქნება მხოლოდ გაგრძელება მემარცხენე ფედერალისტების მიერ უკვე უარყოფილ გზისა.**

**ეს იქნება აგრეთვე განმეორება ისეთი სისულელის, როგორიც ჩაიდინა ჩვენმა კრებამ 1921 წლის 10 აპრილს.**

ის გზა, რომელიც მიიღო 17 ათასმა მუშამ, გამართლდა. ამ ბრძოლაში გავიმარჯვეთ ჩვენ. გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, ამ პარტიის ხაზმა, დამარცხდა მენშევიზმი, მისი ტაქტიკა.

ამას არ უარყოფს ს. დევდარიანის უკანასკნელი წერილები, თუ მას დაკვირვებით წავიკითხავთ.

**ამიტომ კომუნისტური პარტიის გარეშე ეხლა გზების ძებნა იქნება კიდევ ერთი ახალი გაუგებრობა..**

ა. რ—ძე.

# მჯიდროთ!

მუშათა კლასმა დაკარგა მსოფლიო ბელადი, ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა რევოლიუციონურ მოძრაობას.

დაობლდა მუშათა კლასი. მან დაკარგა მასწავლებელი, მაგრამ არ დაუკარგავს რევოლიუციონერობა, რომელიც ჩაუნერგა მას დიდმა მასწავლებელმა ლენინმა. ჩვენ, მუშებს, არ გეშინოდა ტირილი. ჩვენ ვიცით მხოლოდ ბრძოლა და ამიტომ მიუხედავათ იმისა, რომ დაკარგეთ დიდი მასწავლებელი, ჩვენ არ ვტირით, არამედ უფრო მჭიდროთ ვკავშირდებით და ვემზადებით ბრძოლისათვის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თუ ვინმე ფიქრობს იმას, რომ ამხ. ვლადიმერ ილიჩის სიკვდილის შემდეგ მუშათა კლასი დაიბნევა და დაკარგავს სწორ გზას, ძალიან შემცდარა. ვლადიმერ ილიჩმა დასტოვა საკუთარი ხელით აშენებული ისეთი ფოლადის ეკლესია, რომელსაც ვერ დაანგრევს ვერავითარი ძალა. ეს არის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სისტემა. და თუ ოდესმე ამ ეკლესიას რომელიმე კედელი აპირებდა გაბზარვას, ამხ. ლენინის სიკვდილის შემდეგ ერთი ასათ და ათასათ შედუღდება და შეკავშირდება. და ბრძოლაში გამოცდილი ფოლადის კედლები მაგალითს მისცემენ ყველა ნაწილებს ამ ეკლესიისას, რომ ერთათ შეკავშირებულთ შეეძლებათ მიიყვანონ მუშათა კლასი იმ საბოლოო მიზნამდე, საითაც მიეყავდით ჩვენ ჩვენს დიდ მასწავლებელს ლენინს. მუშათა კლასმა და მშრომელთა გლეხობამ უნდა დასდოს ფიცი დიდ მასწავლებლის გვამის წინაშე, რომ ერთი წუთითაც არ გადაუხვევენ იმ ნაცად გზას, რომელიც გვიჩვენა ჩვენ ამხ. ლენინმა.

მაშ ასე, ამხანაგებო, მჭიდროთ შეკავშირებული ძალით შევსძლოთ იმ კვანძების დახსნა, რომელსაც ერთის გადახედვით ხსნიდა ჩვენი დიდი მასწავლებელი.

ვ. სიხარულიძე.

# კმარა ინტრიგები!

(სოც.-ფედერალისტების პროკლამაციის გამო)

შვილებში, რომ ერთი უვარგისი დაებადოს მშობლებს, განა ამაში დედამამა არის დამნაშავე? სრულიადაც არა!

ასე მსჯელობენ ბურჟუაზიულად განწყობილი პარტიები და ასეთი სენით არის შეპყრობილი დღეს მემარჯვენე ს.-ფედ-ტები. შეიძლება კომუნისტურ პარტიის ზოგიერთი წევრები ვერ არიან პარტიის ლირსებასთან თანასწორად მდგარნი, მაგრამ ამითი კომუნისტური პარტიის ლირსება არ დაქვეითდება. ამის გამო კომუნისტურ პარტიის სულის ჩამდგმელ და აზრით უკვდავ ლენინს ბრალსა სდებენ იმაში, რომ რატომ იმისთანა არ არიან ყველა მისი ხელქვეითებია...

არა, ყოფილო რევოლიუციონერებო! სდებით, ვერ ამესებთ და ვერ გიცვნიათ მეოცე საუკუნის უკვდავი და უდიდესი გენიოსური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება.

მასში არ გამოსჩვივოდა არავითარ ძალადობა. იგი გულთმისანი იყო. ის ყოველივეს გრძნობდა, მან კარგათ იცოდა ყოველი ერის გულის ძგერა და ტკივილები. თვით პირველი მოტრფიალე იყო ერთა თანასწორი უფლებისა და სუვერენობისა. მას არ უნდოდა არავისი დამონება. მან, პიროქით, გაანთავისუფლა რამდენიმე ათეული მილიონიანი ხალხი ბურჟუაზიის ბატონყმობისაგან.

თავისუფლების მოტრფიალე ქართველი ხალხი, როგორც ვიცით, ვერ შეურიგდება დამონებას. იგი მუდამ ეძებს გამოსავალ გზას, რომ თავი დააღწიოს მონობას და ასეთი გზის მაჩვენებელი ერთად ერთი ი‍მ‍ვ‍ი‍ა‍თ‍ი მტკიცე ნების ადამიანი ლენინი იყო. ნუ თუ ასეთი ადამიანი წვრილი ერების დაჩაგვრელი და განმანადგურებელი შეიქნებოდა? არა, ლენინი ერთად ერთი მხსნელი მესია იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში და მტკიცედაც შეასრულა თავისი განზრახვები და ცხოვრებაშიც გაატარა რამდენიმე პრინციპი წვრილ ერთა შესახებ.

ყველასათვის აშკარა და ნათელია წითელი ჯარის ყოფნა საქართველოში და რისთვის არის იგი დანიშნული, ეს ყველამ კარგათ ვიცით და განმარტება არ სჭირია. ნუ თუ ბოროტებათ მიგაჩნიათ წითელი ჯარის აქ ყოფნა? თუ კერზონ-პუანკარეს ჯარები და განზრახვები სჯობია ლენინის ჯარსა და აზრებს? ეს კითხვა თქვენთვის მომინდია. და ჩვენ კარგათ ვიცით რევოლიუციონური ჯარის და მიზნების შინაარსი. ჩვენ არ გვინდა იმპერიალისტური ჯარები და აზრები. და თუ თქვენ რევოლიუციონურ ჯარებს და აზრებს ვერ შეურიგდებით, უნდა იცოდეთ, რომ ვერც ჩვენ შეურიგდებით დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ განზრახვებს. ეს კარგათ უნდა იცოდეთ და ჩვენც ვიცით, ინტრიგანებო, რომ რურის ოკუპაციას არა გავს წითელი ჯარის ყოფნა ამიერ-კავკასიაში, იგი ლარაჯია მახვილის საშუალებით განთავისუფლებულ მშრომელი ხალხისა და რევოლიუციის. წითელი ჯარები არ ეწევიან არავითარ ძალადობას და სიმხეცეს.

მე, როგოც ყოფილი ს.-ფედერალისტების პარტიის წევრი, სასტიკად ვგმობ ასეთ მორიგ პროვოკაციებს, რომელიც არის ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული უნიადაგო ავანტიურისტების მიერ და სურთ კიდევ დაღუარონ უმანკო სისხლი ქართველი ხალხისა.

მხოლოდ დღევანდელი ხანა ყოველ პატიოსან ადამიანს ავალებს ფხიზლად დაუდგეს და წინ გადაეღობოს ასეთ მორიგ პროვოკაციებს

და სასტიკად იქნენ დევნილნი ასეთი არა საიმედო პიროვნებები.

დე, იცოდეს ყველა ნაძირალებმა, რომ ასე ადვილათ მუშებს ვერავინ ვერ მოატყუებენ, რადგან ამდენი ხნის გამოცდილებამ ბევრს ურწმუნო თომებს ოცნება ჭეშმარიტებით შეუცვალა და სიტყვა საქმეთ იხილეს.

„ბარა ინტრიგები...

პ. ჭელიძე—(საირმელი).

# მოკლე შენიშვნა.

სეით დევდარიანი—ეს მეორე ნოე ჟორდანიაა საქართველოში.

სეითს ისე ეპყრობოდა არალეგალური ცეკა, როგორც ნოე ჟორდანიას. მენშევიკების სამი წლის არსებობის განმავლობაში ბევრჯერ დაუჯენებია ცენტრალურ კომიტეტს ნოე ჟორდანია ფაქტის წინაშე. ნოეს ხშირათ უმალავდენ იმას, რის გაკეთებაც უნდოდა ცეკას, გაისტუმრებდენ რა სოფელში, ან სხვაგან სადმე, მოსდგებოდენ იმის კეთებას, რის წინააღმდეგი იყო ნოე. მერე ეუბნებოდნენ ნაბიჯები გადადგმულია ცეკას გადაწყვეტილებით და ეხლა თქვენც უნდა დაემორჩილოთო. ეს ჩვეულება დღემდი დარჩა მენშევიკების ცეკაში. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცოდით, რომ სეით დევდარიანი საქართველოში დაიჭერდა ნოე ჟორდანიას ადგილს და სათავეში ჩაუდგებოდა მენშევიკურ მუშაობას, ეს ასეც მოხდა. სეითი მოექცა სათავეში მენშევიკურ ცეკას, როგორც ერთი ძლიერი ხელმძღვანელი, როგორც მისი განცხადებიდან სჩანს, ვითომ მან არ იცოდა ბანდებთან კავშირის შესახებ არაფერი;

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია. შესაძლებელია, რომ სეითს არ სცოდნოდა თუ რას აკეთებდა ნ. ხომერიკი, რომელიც განსაკუთრებული დავალებებით ჩამოვიდა საზღვარ გარეთიდან.

მაგრამ განა ამით შეუძლია სეითს თავი იმართლოს? არა და ათასჯერ არა. ის ვალდებული იყო ყველაფერი, რაც კეთდებოდა, გაეგო მით უმეტეს, რომ ამის შესახებ ბევრი იწერებოდა პრესაში. სეითი ამბობს: თუ ეს მართალია, რატომ 12 ათას მუშებში და გლეხებში, რომელთაც დასტოვეს ჩვენი პარტია, არ გამოიხატა ერთი მაინც, რომ ეს ფაქტებით დაემტკიცებინა, აქ ერთი კი არა ასობით არიან, ვინც იცის ყველაფერი. რასაკვირველია, ეს 12 ათასი პარტიის წევრები იცნობდა და იცოდა თუ რას წარმოადგენდა მისი პარტია და ამიტომაც მიატოვეს ის. მათ ეს სთქვეს 30 აგვისტოს და როცა საჭირო იქნება, კიდევ ბევრის თქმაც შეიძლება.

კ. თოფ ძე.

# გაკვრით გრ. ლორთქიფანიძეს

(მისი წერილის გამო)

ჩვენ მოგვივიდა გრძელი წერილი (მთელი რვეული) გრიშა ლორთქიფანიძისაგან.

ავტორი გზა და გზა გვეკამათება.

უმთავრესად იმეორებს იმას, რასაც თავის პირველ წერილებში ამბობდა სეით დევდარიანი: საქართველოს გადაქცევა რუსეთის კოლონიათ, დაპყრობა ქართველი ერისა და სხვა.

ამის შესახებ ჩვენ თავის დროზე ვრცელი პასუხი მივეცით. ს. დევდარიანს, რომელმაც თავის უკანასკნელ წერილებში თითქმის უკვე წაიღო უკან ყველა ეს ბრალდებანი, როცა ამბობს, რომ საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად არსებობა ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელი არისო, რომ საქართველოს რუსეთის კავშირის გარეშე არსებობა არ შეუძლია და ყველა დანარჩენი სახელმწიფონი, ყველა დანარჩენი ორიენტაცია საქართველოსთვის იქნება საშინელება „საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო რეაქციის ერთ-ერთ დასაყრდნობ წერტილად“.

— დღევანდელ რუსეთთან, იმის კავშირში საქართველოსათვის არის საბოლოოთ მიმატებითი ნიშნები. ყველა სხვა გზებზე ისტორია იძლევა გამოკლებით ნიშნებს. მე ბევრი მითქვამს საქართველოს კოლონიათ გადაქცევის საფრთხეზე ახლანდელ პირობებში, მაგრამ ვერ ვიტყოდი, არ შემეძლო, არ შემიძლიან ვთქვა, რომ საქართველოს ეკონომიურ კულტურულ წინმსვლელობას უკეთესი დრო დაუდგება თუ ძალა-უფლება გადმოვიდა ჩვენი პარტიის ხელში.—აი რას სწერს ს. დევდარიანი თავის უკანასკნელ წერილში. „კართაგენი უნდა დაინგრეს“.

ამას სწერს ის ადამიანი, ვინც დიდი პატრიოტი არის მენშევიზმის, მაგრამ ლოღიკა უჭარნახებს მას „შეურიგდეს“ რუსეთს, რუსეთის ორიენტაციას, ვინაიდან ყველა სხვა გზა არის გზა ეშმაკის.

**დღეს რუსეთის იმპერიალიზმზე ლაპარაკი ძალიან მოძველებული თემაა, და თუ გრიშა ლორთქიფანიძე ამას მაინც იმეორებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალიან დაშორებულია ჩვენს სინამდვილესთან და ემყარება ყალბ ინფორმაციას.**

შემდეგ გრიშა ლორთქიფანიძე გვეუბნება, რა დროს ლაპარაკია ეხლა იმაზე, რომ კომუნიზმი არის გამართლება მარქსიზმის, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებსო. დღეს ხომ ამგვარად დამტკიცებულია ყველასათვის, რომ ბოლშევიზმი არ არის მარქსიზმიო.

ჩვენ შევეცდებით ამ მოკლე ხანში უფრო ვრცლად ვუპასუხოთ გრ. ლორთქიფანიძეს და იქ ამ საკითხსაც ვრცლათ შევეხებით და შევეცდებით დავუმტკიცოთ გრ. ლორთქიფანიძეს, რომ მარქსიზმში ფეხი წაიტეხა სწორეთ მენშევიზმმა და არა ბოლშევიზმმა.

რევოლიუციონური მარქსიზმი არასოდეს არ იყო, არ ყოფილა მომხრე იმისა, რასაც აკეთებდენ რევოლიუციის გამარჯვების პირობებში ბურჟუაზიულ კლასთან ვიწრო კავშირში საქართველოს და გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

მოვუსმინოთ ამის შესახებ თუნდაც თვით ს. დევდარიანს, მენშევიკური ცეკას წევრს. აი რას ამბობს ის:

— მე ვნახე ზოგიერთი საბუთები,—ჩვენი პარტიის წევრებთან აღმოჩენილი მიწერ-მოწერა,—რომლებმაც მართლა დამიმტკიცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მებრძოლი საქართველოს სოციალ-დემოკრატია სდგას მარქსისტულ ხაზისაგან, საერთაშორისო სოციალიზმის იდეოლოგიისაგან გადახრის რეალურ საფრთხის წინაშე.

შემდეგ წეოილებში ს. დევდარიანი ამტკიცებს უნიადაგობას ფორმულის „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“, უნიადაგობას იმ ფორმულის, რომელსაც მარქსიზმის სახით ასაღებდენ ოპორტიუნისტული სოციალისტები.—ნუ თუ ამ ფორმულაში მიაჩნია გრიშა ლორთქიფანიძეს მენშევიზმის გამარჯვება მარქსიზმის საკითხში? გრიშა ლორთქიფანიძემ გაიმეორა კიდევ ერთი ბრალდება, რომელიც ჩვენ ერთ-ერთ თავის წინანდელ წერილებში წამოგვიყენა ს. დევდარიანმა:

— რატომ თვით პარტიაში არ დასვით კითხვა ტაქტიკის შეცვლის შესახებ. თუ პარტიაში ვერ მიიღებდით ხმის უმრავლესობას, მაშინ შეგეძლოთ გასულიყავით პარტიიდან და გემოქმედათ პარტიის გარეშე. მოგეხდინათ „ბუნტიო“.

ჩვენ გრიშა ლორთქიფანიძეს უპასუხებთ იმას, რაც თავის დროზე უპასუხეთ ს. დევდარიანს.

მენშევიკურ პარტიის არამკითხე „აპარატჩიკებს“, (რომლებიც სრულიად არ იყვნენ ამ აპარატებში პარტიის წევრთა უმრავლესობის მიერ ნდობით აღჭურვილნი, ვინაიდან ცეკას ამ უკანასკნელ წლებში ირჩევდა მხოლოდ ვიწრო ჯგუფი), ასე ჰქონდათ წარმოდგენილი, თითქო პარტიას ისინი წარმოადგენენ.

**ჩვენ კი პარტია გვესმის ყველა მისი წევრების სახით. და აი ამ პარტიის წევრების გარეშე არავის არ უმოქმედნია.**

საქართველოს ყველა კუთხეებში შესდგა კონფერენციები, რომელსაც დაესწრო მთელი აქტივი მენშევიკური პარტიის.

ამ კონფერენციებს ესწრებოდნენ „აპარატის“, „ოფიციალური“ მენშევიზმის წარმომადგენლებიც, რომლებიც ფართო დეკლარაციებითაც კი გამოდიოდენ ჩვენს წინააღმდეგ სრულიად თავისუფლად.—ცეკა უშვებდა აგრეთვე აუარებელ ფურცლებს ჩვენს წინააღმდეგ..

მაგრამ ოფიციალურმა მენშევიზმმა ვერ გაიმარჯვა.

ამ კონფერენციებს მოყვა სრულიად საქართველოს ყრილობა, სადაც წარმოდგენილი იყო 17 ათასი პარტიის წევრი.

ახლა ვეკითხები გრ. ლორთქიფანიძეს:

— პარტიაში დაისვა და გადაწყდა კითხვა ტაქტიკის შეცვლის შესახებ თუ პარტიის გარედ?

**რასაკვირველია, პარტიაში. ხოლო პარტიის გარეთ მუშაობენ დღეს მხოლოდ ის პირები, რომლებიც პარტიის უმრავლესობის მიერ მიღებულ გზას დღეს რევოლვერებით ებრძვიან.**

ჩვენ კი ვიყავით პარტიასთან და ვრჩებით პარტიის უმრავლესობის მიერ მიღებულ პლატფორმაზე.

რატომ ვერ დავსვით ეს საკითხი ცეკაში?

იყო ცეკაში ეს საკითხი, იყო სპეციალური მოლაპარაკებაც „აპარატჩიკებთან“.

მაგრამ ცეკას არ სურდა ამ საკითხის გარჩევა, ყოველმხრივ აწონ-დაწონვა, გაშუქება. **ის ჯიუტობდა**, ის გაურბოდა კრიტიკას, ის და-

რწმუნებული იყო, რომ „რომის პაპა უცოდველია“ და ამიტომ ბრძოლაც წააგო.

ალბად, თვით ს. დევდარიანმაც ვერ შესძლო ტაქტიკის შეცვლის საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით დასმა ცეკაში. მან მხოლოდ ეხლა დასვა ეს საკითხი ცეკას გარეშე.

ასეთი იყო ის პირობები, რომელიც შეჰქმნა ცეკას პოლიტიკამ მენშევიკურ პარტიაში.

დასასრულ გრ. ლორთქიფანიძე მაინც ვერ გაურბის ლოლიკას, სინამდვილეს და ამბობს, **ცუდია თუ კარგი, საბჭოთა მთავრობა მაინც არის ერთად-ერთი შესაძლო რევოლიუციონური ხელისუფლება** (единственно возможная революционная власть) **და ამის წინააღმდეგ ბრძოლა არის ხელის შეწყობა თავად-აზნაურულ რეაქციის, რომლის საშიშროება ჯერაც არაა მოშორებულია. მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის (მეორე ინტერნაციონალის, ა. რ.) მოვალეობაა ხელი შეუწყოს საბჭოთა მთავრობის ცნობასაო.**

როცა ამას ვკითხულობ, უნებლიეთ მაგონდება ს. დევდარიანის უკანასკნელ წერილებიდან ერთი ადგილი, სადაც ის ამბობს:

„რამდენჯერ მიგრძვნია თავი უხერხულად, როცა კალამი მკავია ხელში და მიწერია რამე ამ ძალაუფლების წინააღმდეგ. შევკითხებივარ ჩემ თავს:

— რა გინდა, კაცო, რომ იგინები? ჩამოვარდეს ეს მთავრობა?

— არა, ვამბობ, თუ რუსეთში არ ჩამოვარდა, აქ არ ჩამოვარდება.

— მერე ფაშიზმი, მონარქია?

— რა თქმა უნდა, არა, ვიცით რაც იქნება ფაშიზმი რუსეთში და რა ხეირს დააყრის რუსეთში გამარჯვებული მონარქია საქართველოს. ისე აიწყწება და აწიოკდება ყველაფერი, რომ ბოლშევიკებთან ერთად მოგვიხდება ჩაძრომა იატაკ ქვეშ.

**და თუ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რეაქციონური ნაბიჯია, თუ საბჭოთა ხელისუფლება რევოლიუციონური ხელისუფლებაა, მაშინ ყველა ჩვენ მოვალენი ვართ გვერდში ამოვუდგეთ ამ მთავრობას და მასთან ერთად ვებრძოლოთ ყველა შავ ძალებს.**

ეს სთქვა სრულიად საქართველოს ყრილობაზე 17 ათასმა მუშამ.

ამას ამბობს ეხლა ს. დევდარიანიც, ეს უნდა სთქვას გრ. ლორთქიფანიძემ და სხვებმაც, რომლებიც ჯერ კიდევ არ მისულან 17 ათას მუშასთან.

სხვა გზა არაა. ეს უნდა გაიგონ.

გრ. ლორთქიფანიძე მისაყვედურებს:

1921 წელს, 10 აპრილს, როცა ჩვენ ვიღებდით რეზოლიუციას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის შესახებ, რაც დიდი მსხვერპლი იყო ჩვენი პარტიის მხრითო, მხოლოდ ა. რუხაძეს და ს. ფარნიევს შეჰქონდათ დისონანსი ამ „შერიგების“ დროსო.

ამხ. ფარნიევი ალბად თითონ გასცემს პასუხს გრ. ლორთქიფანიძეს ამ „დისონანსის“ შესახებ.

პირადათ მე მართლა შემქონდა დისონანსი ამ დადგენილების მიღებაში.

**და აი რატომ!**

მე ათი აპრილის რეზოლიუცია მიმაჩნდა და მიმაჩნია სრულიათ მიუღებლად.

მე მაშინ განვაცხადე სიტყვა სიტყვით ს. დევდარიანის მოხსენების შემდეგ:

— მე მინდა მართალი გითხრათ, უფრო მომხრე ვიქნები სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლის ბოლშევიკებთან, ვიდრე ასეთი გაურკვეველი გზის. ან სრული შერიგება მათთან, მიღება პროლეტარიატის დიქტატურის, ან ეხლავე ამოძრავება პარტიული აპარატის, თუ საჭირო იქნება ჭერქვეშ ჩასვლაც და სასტიკი ბრძოლაც. მიღება თანამშრომლობის, მისვლა მათთან ამ პრინციპით და ამავე დროს იღლიაში ამოჩრა ფორმულის „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“, მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, ვინაიდან აქ არ არის გულწრფელობა ტ არის მხოლოდ წინააღმდეგობა აზრების.

მე მაშინ ვლ. ჯიბლაძემ, ამ ყრილობის თავმჯდომარემ, არც კი მაცალა ლაპარაკი.

**დღეს კი თვით ათ აპრილის ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციის ავტორმაც დაინახა, რომ ეს რეზოლიუცია მართლაც მიუღებელი იყო.** წაიკითხეთ უკანასკნელი წერილები ს. დევდარიანის და იქ სრულიად ხაზ გასმულია უარყოფითი მხარეები ამ რეზოლიუციის.

**ჩვენ რომ მეტი დაფიქრებული ვყოფილიყავით და უფრო გულდადებით შევდგომოდით შექმნილ მდგომარეობის შეფასებას, ისეთ მარცხს, ისეთ შეცდომას, რომელიც ათ აპრილს ჩავდინეთ, ცხადია, თავიდან ავიცილებდით.**

და ამასთან ერთად ავიცილებდით იმ აუარებელ მსხვერპლსაც, რომელიც მოუტანა საქართველოს მუშათა კლასს ჩვენმა ძველმა ტაქტიკამ

**ა. რუხაძე.**

## საქ. სოც. დემ. პარტ. კონფერენციები და ყრილობის ამოცანები და შედეგები.

(გაგრძელება)

ამ გვარად, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურას საქართველოში, როდესაც პარტიამ მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს, ჩვენ მკაფიოთ ვარჩევთ ფართე პარტიულ მასებში უკმაყოფილების ელემენტებს პარტიის საერთო პოლიტიკით. უკანასკნელი გამოიხატება ზოგიერთ წევრთა პარტიიდან გასვლაში, კერძო განცხადებებში და ზოგიერთი პარტიულ ორგანიზაციების მიერ გამოტანილ დადგენილებებში, რომლებიც მიმართულია პარტიული მმართველ წრეების წინააღმდეგ და ბოლოს, ჩვენ წინაა ცდა მუშათა ოპოზიციის შექმნის და ჩამოყალიბების და სხიელების გამოყოფა. ყველაფერს ამას ერთვის ზედ სამი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორი, რომლებიც მედგრად მოუწოდებენ ყველა გულწრფელ რევოლიუციონერს ისტორიულად, და იდეურად გაკოტრებული ძველი პარტიული ტაკტიკის გადაშინჯვის და ახალი გზების ძიებისაკენ. ვლაპარაკობთ რა სამ ფაქტორზე, ჩვენ ვგულისხმობთ — საქართველოს მენშევიკური პარტიის პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის მოღვაწეობას საქართველოში და მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას. თვითეული ამ ფაქტორთაგანი აყენებდა საქართველოს მუშათა კლასის წინ დილემას: ან შემოკრეფა მესამე ინტერნაციონალის დროშის ირგვლივ და შეერთებული ძალებით თავისი მოსისხლე მტერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ გალაშქრება, ან უკანასკნელთან თანამშრომლობა, კავშირი მუშათა კლასის დამარცხების მიზნით. რა ფორმებში ჩამოყალიბდა მენშევიკური პარტიის პოლიტიკური მუშაობა საქართველოში უკანასკნელის გასაბჭოების შემდეგ?

ჩვენ ვიცით, რომ მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მენშევიკური პარტიის მუშაობა ამ ხანაში, არის ლოზუნგი საქართველოს „განთავისუფლების“. მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უდგება ის ყოველგვარ სოციალური მოვლენების შეფასებას როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობის. ამ მხრივაა გაშუქებული როგორც ადგილობრივ არალეგალურ მენშევიკურ პრესაში, აგრეთვე საზღვარ გარეთულ მენშევიკურ გამოცემებში მუშაობა გენუის, გააგის და ლოზანის კონფერენციების.

ამავე თვალსაზრისით უდგება ის ჩოლოყაევის და სხვების ბანდიტურ გამოსვლების საკითხს.

მთელ ამ მუშაობაში დამახასიათებელია ის, რომ ის სავსეა ღვარძლით და მტრობით რუსეთის დიდი რევოლიუციისადმი და კერძოთ ყოველივე რუსისადმი.

თუ თვალს გადავავლებთ ამ დროის მენშევიკური ლიტერატურას, მაშინ ადვილად აღენუსხავთ თუ როგორი გულის ძგერით ადევნებენ თვალყურს პარტიის ხელმძღვანელნი იმ დიდ ისტორიულ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს რევოლიუციონური რუსეთის და ბურჟუაზიულ ევროპის შორის და რაც ყველაზე მეტად სამარცხვინოა და ახასიათებს მენშევიკურ ლიდერების პოლიტიკურ და ზნეობრივ დეგრადაციას (დაქვეითებას) ეს ის, რომ მათი თანაგრძნობა ამ ბრძოლაში არის ბურჟუაზიული ევროპის ე. ი. კაპიტალის მხარეს. მაგრამ საკითხი არ იწურება მხოლოდ უბრალო თანაგრძნობით, მათ სოციალისტური სინდისი ისე იკნინება, რომ ისინი მიმართავენ ყოველგვარ ზომებს, რათა შეჰქმნან საბჭოთა რუსეთისთვის მოწამლული ატმოსფერა. ყოველივე უმნიშვნელო მარცხი საბჭოთა რუსეთის წარმოუდგენელისი ამოვნებით და აღტაცებით იფინება პატარა საქართველოს ყველა კუთხეში.

ჩვენ ვიცით, შესაძლოა სულ უბრალო ფაქტი გადიქცეს უმეალო საბაბად ამა თუ იმ ისტორიული კატასტროფის... და აი მუშურ-გლეხური რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მეშვიდე წელია, რაც მომწყვდეულია კაპიტალისტურ რკალში და იგერიებს უკანასკნელის თავდასხმებს, იწერება სისტემატიურად წერილები, წიგნები, იკზავნება მემორანდუმები, საჩივრები და სხვა. რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მან შებილწა მისი წმინდა ადგილები, ის ხვრეტს ათასობით მის საუკეთესო შვილებს, ამ საჩივრების მიხედვით ბანდიტი ჩოლოყაშვილის გამოსვლები წარმოადგენენ სა-

ქართველოს მშრომელი ფართე მასების სტიქიური ამბოხებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველა ამას შედეგად მოჰყვა ის რომ ამ ჟამად სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარე კეთილშობილი (sic') ბარტუ გამოდის გენუის კონფერენციაზე საშვალო საუკუნეთა რაინდის როლში ვითომდა დაჩაგრული (!) საქართველოს დასაცავად (!). და ამ „რაინდს“ დიდ ოვაციებს უმართავს მენშევიკური აუდიტორია... მაგრამ აბა შეეკითხოს ჩხენკელმა თავის კოლეგებს მეორე ინტერნაციონალიდან—შეიდემანს, გილფერდინგს, კაუცკის და რუთის ოლქში მცხოვრებ ათას და ათი ათას სოციალ-დემოკრატებს—ბარტუს და მის კოლეგების დეგუტის და სხვების კეთილშობილების შესახებ.

ამ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეფხიზლებინა საქართველოს მუშათა კლასი, რადგანაც ის დარწმუნდა, რომ წითელი ლაშქარი არ მოსულა საქართველოში უკანასკნელის გაპარტახების მიზნით, რომ მას ჩოლოყაევთან და ბარტუებთან საერთო არაფერი აქვს, რომ რუსეთის რევოლიუციის დამარცხება არის ამავე დროს დამარცხება მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის და გამარჯვება საერთაშორისო რეაქციის.

ამაში დაარწმუნა ის აგრეთვე ზემოთ აღნუსხულმა მეორე ფაქტორმა, სახელდობრ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის პრაქტიკამ საქართველოში. მაგრამ პირველ ყოვლისა ორიოდე სიტყვა იმ შიშის ფსიხოლოგიაზე, რომლითაც ხვდებოდნენ კომუნისტების შემოსვლას საქართველოში არამც თუ უბრალო მოქალაქეები, არამედ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. მენშევიკური ხელისუფლების სამი წლის განმავლობაში იქნა დახარჯული კოლოსალური ენერგია ამ ფსიხოლოგიის შესამუშავებლად. საქართვველოს ითქმის ყველა მოქალაქის წარმოდგენაში წითელ არმიელი და კომუნისტი საერთოდ-იყო უბრალო ავაზაკი რეციდივისტი, რომელსაც კაცის კვლა გაუხდია პროფესიათ. „მენშევიკები გვეუბნებოდნენ 18 -19 წლეებში, იძახის მენშევიკური პარტიის წევრი თედეშვილი, ბოლშევიკები, რომ შემოვიდნენ, ცოლსა და შვილებს წაგართმევენო... მაგრამ, როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, დავინახეთ, რომ არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ჰქონია“. (იხ. მე-II რაიონის ყოფ. მენშევიკ. კონფერ. სტენ. ანგარ. გვ. 32.)

დაახლოვებით ამასვე იძახის ამ საკითხის შესახებ მეოთხე რაიონის ყოფ. მენშევიკთა კონფერენციაზე პარტიის მეორე წევრი ურუშაძე.

„როდესაც საბჭოთა ხელისუფლება შემოვიდა საქართველოში, ჩვენ, მართალია, მტრული თვალით ვუყურებდით მას, რადგანაც ჩვენ გვეუბნებოდნენ—შემოვლენ საქართველოში და გაანადგურებენ მასო... (იხ. მე-4 რაიონ. ყოფ. მენშევ. კონფერენც. სტენოგრ. ანგარიშ. გვ. 31).

ასეთი შიშის, სიძულვილის და უნდობლობის ატმოსფერაში შეხვდა საქართველო კომუნისტების შემოსვლას, მაგრამ გადის ერთი თუ ორი წელი, მუშათა კლასი აკვირდება საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას, მუშაობას და მიდის სულ სხვა დასკვნამდის, რის გამოც უნდობლობის ატმოსფერა თანდათან ქრება... იწყება საქართველოს მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის ორგანიული შედეგების პროცესი. ყველაზე საინტერესო მომენტი კონფერენციების მუშაობაში, არის ადგილები, რომლებიც ეხებიან საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის შეფასებას.

ამისთვის საჭიროა მოუსმინოთ კონფერენციების მონაწილეებს.

(გაგრძელება იქნება)

# პატარა ფელეტონი

### გურულის წერილი შვილთან.

შვილო კალისტე!

ღმერთს, მარა ძალა ღმერთს, ამ ღვთის გამწყარალმა კომუნისტებმა ქე მიახურეს ყველა საყდრები. შიგ ახლა ღამურები და ვშმაკები იქნებიან დაბინავებული და რაღა მადლი ექნება საყდალს. მარა ცაში მაინც იქნება ღმერთი და იმას ვთხოვ შენს კარგად ყოფნას.

ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყლა, რომ ამდენი ხანია სამსახური ვერ იშოვე. შენ თუ ბირჟას უყურე, ისე დაბერდები რომ არ გეღირსება სამსახური. ბიჭო, კომუნისტები კი გყავს ნაცნობი და რეზა ვერ გიშოვეს ერთი ხეირიანი ადგილი. აქანე რომ გვიმბრალაში დარბოდენ, ხომ კაი კალისტე იყავი.

ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს ჰარტიაში არ იმუშაო. გურია, მენშევიკების ბუდე იყო, მარა ახლა ყველა მობღუნკულია წელში და ყველამ დატიეს მენშევიკები. თავი დაანებე ჩხირ-კედელაობას. მაგინს რომ რამე შესძლებოდა, ამდენან ქვეყანას დააქცევდენ. თაყაიეს ბიჭმა, რაფერ უნდა გაჯობოს? იგი კაცი უპარტიო არის; ნიკოლოზის დროსაც კარგი სამსახური ჰქონდა. მენშევიკებმა კიდევ უკეთესი მისცეს და ახლა ხომ დიდი კაცია. ცოციალისტებს იგი ყოველთვის სცინოდა. კომუნისტები ჭირივით ეზარება, მარა მისი გაქანება ვერაკაცმა შესძლო.

ბიჭო, ციცას კარგად მოუარე. უნივედსიტეტი კაია, მარა ნამუსი ყველაზე უკეთესია. მაქანე სიყვარულობიე სცოდნიენ და ციცაი არ გადირიოს. მონახე ვინცხა ერთი უპარტიო კაცი და მიეცი. კომუნისტი შენს ბინაზე არ გარონო. მაგინის მტერია ყველა: ღმერთი, კაცი და მენშევიკი. არ მისცე არც ყოფილი მენშევიკი და ლონტისტები რომ არიან. მაგინს უარესი დღეი მოელის. ისე თედო ლონტმა ძალიან დაუსწრო თავი მენშევიკებს და მიასწრო მისვლა კომუნისტებთან. ნაციონალ-დემოკრატები შეეგუებიან და ქონს მოუსვამენ თავზე. ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყლეს მენშევიკს არ მისცე. აწი მაგინს არაროის არ მოუწევს ბატონობა. მაგინმა მოგჭამა ჭირი. ან რა საცოლოა მენშევიკი. ტურასავით დაძერება ღამე. თუ ჩეკამ ჩაიგდო ხელში მეტეხში ამოაყოფიებს თავს და სადილის ზიდვით ციცა მოკვდება.

მონახე უპარტიო კაცი... უპარტიო კაცის არის ქვეყანა... იგი ყოველთვის კარგად იქნება, იგი ყველასთვის საჭიროა. მენშევიკი და ბოლშევიკი ძმები იყვნენ და ახლა ძაღლს და ღორსავით არიან გადაკიდულნი.

აბა შენ იცი.. უპარტიო კაცი... უპარტიო, ციცას ეპატრონე... ყური გამეიფხიკე და სამსახური იშოვე, თორემ აქანე ათი ფუთი ღვინო და სიმინდი რომ გაყიდო, ერთ ნიფხავს ვერ შეიკერავ. დედაშენს ერთი საკაბე გამოუგზავნე. ფეხზეც არა აქვს. ერთი ჩხაპუტა წულა ჰქონდა და ისიც ძაღლმა შეუჭამა. საღდგომოდ ჩამოდი. შენს სახელზე ღორის ბარკალია შენახული. ახლა არც ისე ძნელია წამოსვლა. ოზურგეთში რკინის გზა არის... აი ერთი კაი საქმე ჰქნეს ამ კომუნისტებმა.

მამაშენი ანთიმოსი.

**მენგო.**

# ფაშისტური საფრთხე.

II.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბურჟუაზიამ, იგრძნო თუ არა აღსასრულის მოახლოვება, აისხა იარაღი და ბრძოლის ველზე იარაღის ჩხარუნით გამოვიდა. 1918 და 1919 წლის რევოლიუციონური აჯანყებები დასავლეთ ევროპაში, როგორც მვითხველს მოეხსენება, პროლეტარიატის დამარცხებით გათავდა. მთელ რიგ ევროპის სახელმწიფოებში მოხდა შეკავშირებულ მუშათა კლასის შეიარაღებული გამოსვლები, რომელსაც ბევრ ადგილას ძალა. უფლების ხელში ჩაგდება, სოციალისტური ექსპერიმენტებიც კი მიჰყვა. მაგალითისათვის საკმაოა გავიხსენოთ იტალიის და ავსტრია,-უნგრეთის ამბები. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, (ზოგან კი, როგორც მაგალითად იტალიაში, ხელმძღვანელ პარტიის შეცდომების გამო) ეს რევოლიუციონური აფეთქებანი ჩაქრა, და მის ნაცვლად ევროპის ზედაპირზე პირწავარდნილი რეაქცია ამოტეტივდა. ბურჟუაზიამ იგრძნო საფრთხე. მან დაინახა, რომ მის წინააღმდეგ დარაზმული და შეკავშირებული პროლეტარული რაზმები მოეშურებოდა და ეს რაზმები მშრომელ გლეხობასთან ჰკრავდა კავშირს, ამიტომ მანაც შემოიკრიბა ძალები და დაიბრუნა რა ისევ ძალა-უფლება ხელში, შეკრა კავშირი მემამულეებთან და ამრიგათ, მუშებისა და გლეხების კავშირს, მემამულეთა და კაპიტალისტების კავშირი დაუპირისპირა.

ამ კავშირის ინტერესების დასაცავად კი საჭირო იყო ძალა.

პირველად ეს ძალა ორგანიზაციულად, ფაშისტური პარტიის სახით ყალიბდება. ფაშისტური პარტია პირველად იტალიაში წარმოიშვა. მისი მამა-მთავარი და სულის ჩამდგმელი არის მუსოლინი.

ეს ის მუსოლინი არის, რომელიც ერთ დროს თავგამოდებით აცხადებდა თავს სოციალისტათ. უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ამ ფაშისტური კავშირისა არის, რა თქმა უნდა, მემამულეები და მექარხნეები. არის აგრეთვე მოსამსახურეები და ნაწილობრივ ქალაქისა და სოფლის მუშებიც შედიან 1921 წლის უკანასკნელ თვეების ცნობების მიხედვით ფაშისტურ ორგანიზაციებში იტალიაში ითვლებოდა სულ 151.00 წევრამდი.

ამათში ვაჭრები, მექარხნეები და ფაბრიკანტები შეადგენდა. დაახლოვებით 18 ათას, კაცს, მემამულეები 18 ათასს, მოწაფეები, მოსამ-

სახურენი და თავისუფალ პროფესიის პირები-53.500 კაცამდის იყო.

ამავე დროს ფაშისტურ პირტიაში ქალაქისა და სასოფლო სამეურნეო დარგის მუშებიც საკმაოთ იყო.

მათი რიცხვი დაახლოებით 57 ათასამდის აღწევდა.

ამ ციფრებიდან დაინახავს მკითხველი თუ როგორი სოციალური შემადგენლობ ისყოფილა ფაშისტური ორგანიზაცია იტალიაში.

უსათუოდ დაიბადება კითხვა, რა უნდა მუშებს ამ კლასიურ მოწინააღმდეგე ბანაკში?

რამ მიიყვანა ისინი თავის მოსისხლე მტერთან, რომელიც დღეს თუ არა ხვალ ყელში უნდა სწვდეს მის ძმებს მუშებს და გლეხებს?

რა თქმა უნდა, არ არის კარგი ის, რომ მუშები, რა რიგ შეუგნებელიც არ უნდა იყოს ის თავის ორგანიზაციებს ვერ პოულობს და კლასიურ მოწინააღმდეგეს უვარდება კლანჭებში. მაგრამ სამწუხაროთ ფაქტი ფაქტათ რჩება და ფაშისტურ ორგანიზაციებში მუშური ელემენტებიც ურევია უსათუოდ ამაში დანაშაული სოციალისტურ პარტიებს მიუძღვის, მაგრამ საქმე იმაში არის, რომ უმრავლესობას ფაშისტ მუშებისას სასოფლო სამეურნეო დარგის მუშები შეადგენენ, ხოლო მეორე ნაწილი კი მომეტებულათ ლუმპენ პროლეტაოებს წარმოადგენს.

სასოფლო სამეურნეო დარგის მუშები, ეს თითქმის იგივე გლეხებია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ომის პროცესში გალატაკებულ გლეხკაცობას წარმოადგენს და ამიტომ ადვილი გასაგებია ის, რომ ისინი ფაშისტურ ორგანიზაციებში დაგროვილან.

გასაკვირი კიდევ უფრო არ იქნება ეს მდგომარეობა მაშინ, თუ მსედველობაში მივიღებთ იმას, რომ ფაშისტური ორგანიზაციები დიდ ჯამაგირებს აძლევდენ ყველა იმას, ვინც მის ორგანიზაციებში ეწერებოდა.

ომის შემდეგ და განსაკუთრებით კი, რევოლიუციონური გამოსვლების შემდეგ ქუჩაში ბრავალი უმუშევარი დარჩა და ჯამაგირის გულისთვის შევრი შეუგნებელი ელემენტი ეწერებოდა ფაშისტურ „შავ ბლუზიანთა“ კავშირში.

(შავ ბლუზიანებს მათ იტალიაში ეძახდენ, რადგან ფაშისტები შავ ბლუზებს ატარებდენ.)

ამრიგათ ჩვენ დავინახეთ, რომ ფაშისტურ ორგანიზაციებში თავს იყრის მთელი მასსა, საზოგადოების ყველა კლასების წარმომადგენლები, მაგრამ უმთავრეს ნაწილს მაინც მემამულეები და მესაკუთრენი შეადგენს. ეს ის ფუძეა, რომელზედაც ეყრდნობოდა ფაშიზმი.

დაახლოებით ასეთივე სურათს წარმოადგენს ფაშისტური ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნებში. ესე, მაგალითად, ბულგარეთში ფაშისტურ კავშირს მეთაურობს ცანკოვი. ხოლო ამ ცანკოვის გვერდით დარაზმული იგივე მექარხნე-მესაკუთრენი და მემამულეები. იგივე სურათია გერმანიაში, განსაკუთრებით ბავარიაში, მკითხველს ალბათ კარგათ ახსოვს ფაშისტ კარის ავანტიურები. ამ ვაუბატონს გერმანიაშიც ზურგს უმაგრებს მექარხნე ფაბრიკანტები და მსხვილი მემამულეები, ისპანიაშიც გენერალმა დეინვეინმა ჩაიგდო ძალაუფლება ხელში. ესეც იგივე ფაშისტია, რომელიც იმავე ძალებზე ემყარება.

სურათი მთელი არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით, რომ ფაშისტურ ორგანიზაციებში განაკუთრებით ამ ბოლო ხანებში თავი მოიყარა შავრაზმულმა ოფიცრობამ და გენერლობამ, რომლებმაც ფაქტიურათ ფაშისტური სამხედრო ძალების ორგანიზაცია ხელთ ჩაიგდეს.

ამრიგათ დედა მიწის ზურგზე არ არსებობს თითქმის არც ერთი სახელმწიფო, გარდა ს. ს. რ. კავშირისა, სადაც ბურჟუაზიის და მემამულეებს არ ქონდეთ შეკრული კავშირი და სადაც ფაშისტური ბანდები არ თარეშობდეს.

ჩვენ ამდენხანს ფაშისტურ ორგანიზაციებზე ვლაპარაკობდით. ეს ორგანიზაციები იგივე პარტიული შეჯგუფება არის, მხოლოდ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ ფაშისტური ორგანიზაციის წევრი შეიარაღებული არის და მიწერილია ამა თუ იმ რაზმზე.

როგორ მოხდა მათი შეიარაღება? რასაკვირველია თანამედროვე ევროპის მთავრობათა ლოცვა-კურთხეევთ და დახმარებით, თვითეული ფაშისტი, იმავე დროს ჯარის-კაციც არის და ის სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს სამხედრო ვარჯიშობის სფეროში.

ამრიგათ ფაშისტური ორგანიზაციები ფაქტიურათ ბურჟუაზიის დამცველი ჯარგათ შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარები არის, ჯარები, რომელიც საგრძნობ ძალას წარმოადგენს და რომლის დახმარებით მოხდა გადატრიალება იტალიაში, ბულგარეთში, ესპანეთში და სხვაგან.

ამ ქვეყნებში ზოგან კოალიციური, ზოგან ლიბერალური მთავრობები არსებობდა, რომელთა ბატონობის დროს მუშათა ორგანიზაციებს შეეძლო კიდევ ლეგალური მუშაობა და შედარებით ნორმალური არსებობა

ფაშისტური ორგანიზაციები მოლონიერდენ თუ არა თავს დაესხენ ამ მთავრობებს, ჩამოაგდეს ისინი და შემდეგ თვით გაბატონდენ.

იტალიაში გაბატონდა მუსოლინი, ისპანიაში დენიკიენა, ბულგარეთში ცანკოვი, გერმანიაში გაბატონდენ ეგრედწოდებული „მემარცხენე ფაშისტები“, ბავარიაში არიან კარი და სხვა.

ფაშისტურ ორგანიზაციების ჩასახვისთანავე დაიწყო მათი „სასახელო“ მუშაობა.

განსაკუთრებით კლასიკურ ქვეყანას ამ მხრივ იტალია წარმოადგენს და ჩვენც მასზე შევჩერდებით.

ვ. ქოროშელი.



# საგულოდ გამარჯვება

სინამდვილის მიუდგომელმა შეფასებამ— ერთხელ კიდევ ნათელყო იმ ისტორიული აქტის ისტორიული შესაბამისობა, რომელიც საქ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ისტორიაში 28 ოქტომბრის აქტით აღინიშნა.

ბევრისთვის არ იყო მოსაწონი ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა გასული წლის ოქტომბრის რიცხვებში ჩვენმა ყრილობამ, მას გულცივად უცქეროდენ ის ამხანაგებიც კი, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ ჩვენ მიერ მიღებულ პლატფორმის ისტორიულ სამართლიანობაში, მაგრამ რომლებიც ფსიქოლოგიურად ვერ ეგუებოდენ ამ გადადგმულ ნაბიჯს. ამდაგვარი ფსიქოლოგიური შეუგუებლობა, აუცილებლად უნდა მივიდეს თავის ლოგიკურ დასკვნამდე, რომელიც ხშირად გამოიხატება, სრულიად კლასიურად მოწინააღმდეგე ბანაკში გადაბარგვით, ხოლო უმთავრეს შემთხვევაში სრულდება ამ ფსიქოლოგიური შეუგუებლობის მოსპობით და თავის ბანაკში დაბრუნებით.

როგორ დასრულდა ეს განდგომა ახალგაზრდა მარქსისტების მიერ ერთი ნაწილის საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა საოლიკვიდაციო ყრილობისაგან?

ცხადია, ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. ის ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა, რომელიც ყრილობის შემდეგაც დარჩა ძველ გზაზე, რომელიც მე II—რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალის გაელენაში იხატებოდა, კვლავ უბრუნდება თავის რეფოლიციონურ ოჯახს და მეტეხში გამოტანილ რეზოლიუციის თანახმად სდგებიან იმ პლატფორმაზე, რომელიც კარგა ხანია მიიღო იმ ყრილობამ, რომელმაც ლიკვიდაცია უყო ორგანიზაციას. ახ. მარქ. **ეს გარდატეხა შესაძლებელია არა ნაკლები მნიშველობისა იყვეს, ვინემ ის ყრილობა, რომელმაც შეასრულა დიდი ისტორიული აქტი.**

ის სიტყვები, რომელიც ჩვენი ამხანაგების მიერ მეტეხის პოლიტიკურ პატიმართა ყრილობაზე იქნა წარმოთქმული, სადაც მიწვეულნი იყვნენ ამხ. ამხ. ფარნიეევი და ვარდოიანი, ამხ. დავით მუჯირისა და არტემ ჩაჩუას მიერ ნათლათ ამტკიცებენ იმ გულწრფელობას, რომლითაც ისინი გაიმსჭვალენ.

თუ ამხანაგი მუჯირი თბილისის საქ. კონფერენციის მსვლელობის დროს ანტიკომუნისტურად იყო განწყობილი ი. მანწკავასთან ერთად, დღეს მათში ეს განწყობილება ისტორიული სინამდვილის ღრმა ანალიზმა ნაცვლებით შესცვალა, რაც ძლიერ სასიხარულოდ უნდა მივიჩნიოთ.

ჟურნალ „სიმართლის ხმის“ № 2 დაბეჭდილიყო აგრეთვე ის გულწრფელი განცხადება, რომელიც ყრილობის დამთავრების შემდეგ გამოგზავნა ამ ყრილობის ერთ-ერთმა მონაწილემ ამხ. კეკელიამ, რომელშიაც აცხადებდა, რომ ის იზიარებს ყრილობის დადგენილებებს.

ზემოთ მოყვანილი უტყუარი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ცხოვრებრივ სინამდვილეს ერთხელ კიდევ ნათელყოფს - იმ პლატფორმის შესაბამისობას, რომელიც მიიღო ჩვენმა ყრილობამ.

ვინ დარჩა ბარიკადების იქითა მხარეზე, რომლებიც კვლავ განაგრძნობენ „ახალგაზრდა მარქსისტების“ სახელით ლაპარაკს და სხვა და სხვა გვარი ფურცლებისა და ლანძღვა გინებით ნავარდს?

ცხადია ისინი, რომლებიც გარიყა ულმობელმა სინამდვილემ

მე მგონია, რომ ის ვაუბატონები, რომლებიც კვლავ „სამოზვანკობენ“, დღეიდან მაინც დაანებებენ თავს „ახალგაზდა მარქსისტების“ სახელით ფურცლების გამოშვებას და ზნეობრივათ სიკვდილს პოლიტიკურ სიკვდილს ამჯობინებენ.

ჩვენი საბოლოო გამარჯვება უტყუარი ისტორიული დოკუმენტია. ამის თავდებია ის ახალგაზდობა, რომელიც გაერთიანდა, და რომელსაც დღითი დღე ემატება ახალ ახალი რაზმები.

**შ. სიხარულიძე.**

## ჩემი მოგონება.

მენშევიკებს რაც ლოზუნგები გვქონდა სულ კომუნისტებმა მოგვპარეს, დავრჩით ულოზუნგოთ.

**ა. ფარნიევი.**

1922 წელს გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში დამატუსაღეს სხვებთან ერთად. ეს დატუსაღება გამოწვეულიყო იმით, რომ სოფელ ჯავთისხევის მახლობლად ტყეში ლაშქარაშვილის ბანდები გამოჩენილიყვნენ. დაჭერილები მოგვათავსეს იმ ღამეს სოფლის მილიციის შენობაში. სულ ვიყავით რვა კაცი. ჩვენთან სხვათაშორის დაჭერილები იყვნენ იმავე სოფლის ყოფილი თავადიშვილები, გვარათ თარხანმოურავები. შესვლისთანავე ეს მამიჩემის ბატონის შვილები ვიცანი და გორიდან საგანგებოთ მოსულ პოლიტიკურ ბიუროს თანამშრომელს შევეკითხე: „რას უნდა მივაწეროთ, ამხანაგო, რომ მამიჩემის ყოფილი ბატონები და მე როგორც გლეხის შვილი და აგრეთვე მუშაც ერთადა ვართ დატუსაღებულები. მან მიპასუხა: არ შეიძლება, რომ ზოგიერთი მუშა ან გლეხი უფრო მავნე ელემენტი იყვეს არსებული წესწყობილებისათვის, ვიდრე ყოფილი თავადიშვილი?..

შევარცხვინე ასეთი მუშაც და გლეხიც, რომელიც უბრალო წინააღმდეგობას გაუწევს დღევანდელს ხელისუფლებას მეთქი. იმან აღარაფერი მითხრა; მეც მივჯექი ჩემთვის, და ვიფიქრე, ახია მედა ჩემმა სინდისმა, რაც გვიყონ მუშებს ღირსნი ვართ; „კაი ცხენი მათრახს არ დაირტყამს“-მეთქი. ამ ფიქრებში რომ ვიყავი შემოიყვანეს იქაური ყოფილი ერობის თავმჯდომარე კალატოზიშვილი და ქამახაძე. მეორე დილით გაგვგზავნეს გორის ციხეში და მე კი გამომიცხადეს ჯერჯერობით გორის ჩეკის მხედველობის ქვეშ ვყოფილიყავი მათ განკარგულებამდე. ერთს ღამეს ერთად მოგვიხდა ყოფნა მე და ბათუმის ყოფილ ქალაქის თავს გიზო ანჯაფარიძეს, რომელიც სურამიდან მოიყვანეს და ჩემთან ერთად თბილისში უნდა გამოეგზავნათ. იმ ღამეს მე ძალიან დაინტერესებული ვიყავი იმითი, თუ რას იტყოდა ანჯაფარიძე პოლიტიკური მომენტის შესახებ. რადგანაც ანჯაფარიძე პატარა პიროვნება არ იყო მენშევიკურ პარტიაში, დავიწყეთ კამათი. ჩემს სიტყვაში ის აზრი გავატარე, რომ მუშებს ბოლშევიკების წინააღმდეგ არაფერი არ უნდა გვქონდა, მაგრამ მან ასე დაიწყო ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ლაპარაკი, ალბად შენ არ იცი, რომ მესამე ინტერნაციონალში შედის მარტო ერთი მილიონი მუშა და მეორეში კი ოცდაათი მილიონი; მეორე საბუთად ის მოიყვანა, რომ ბაქოს ნავთი ურუსეთოდ გაყოფილი აქვს ინტანტასო. შემდეგ ის ვალი, რომელიც ძველს რუსეთს მართებს საფრანგეთისა, საფრანგეთის მთავრობას თავისი გლეხებისაგან აქვს ვალათ აღებული და ისინი დაჟინებით თხოულობენ ამ ვალის განაღდებასო.

ეს საბუთები ჩემთვის გაუგებარი იყო. მე ვიცოდი, რომ რუსეთის პროლეტარიატს იურიდიულათ არ მართებია იაპონიის და გერმანიის პროლეტარიატისა, მაგრამ მთელი რუსეთის მუშები, როგორც ერთი კაცი, ისე დაეხმარა გაჭირვებაში, როგორც იაპონიის, აგრეთვე გერმანიის მუშებს. რაც შეეხება მესამე და მეორე ინტერნაციონალის წევრების რიცხვს, ჩვენ ვიცით მაჰმადიანების სარწმუნოობას ას მილიონობითა ჰყავს მიმდევარი, მაგრამ ამითი ის არ ითქმის, რომ ამ სარწმუნოებას მშრომელ ხალხისათვის რამე სარგებლობა მოჰქონდეს, აი ამხანაგი ფარნიევიც მართალი იყო, როდესაც მან სთქვა, რომ „მენშევიკურ პარტიას ლოზუნგები აღარ დაგვრჩა, სულ კომუნისტებმა მოგვპარეს და რიღათი უნდა გამოვიდეთო,“ ეს სიტყვები თუმცა ხუმრობით იყო წარმოთქმული, მაგრამ დიდ ჭეშმარიტებათ უნდა ჩათვალოს. რომელ პარტიასაც მუშური ლოზუნგი არ მოეპოვება, ის გაქრება, როგორც გაქრა მენშევიკური პარტია საქართველოში.

**მკერვალი ნიკო.**

# მუშათა ფერილები

## გზაზე

ლენინის სიკვდილის ამბავმა ყველა დაამწუხრა, გაისმოდა სამგლოვიარო ლაპარაკი, ქვითინი. ხალხი ეძლევა სასოწარკვეთილებას, ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა. ან რა უთხრან ერთი მეორეს? თავიაღუნულნი ნაღვლიანად კითხულობენ: ნუ თუ მართალია ამხანაგის (ლენინის) დაკარგვაო. რაღაც არ ჯერათ? მაგრამ, როდესაც ბათუმის სადგურზედ გამოფინეს სამგლოვიარო შავი დროშები, ამ შავმა დროშებმა და მისმა დანახვამ მოჰფინა მწუხარება მთელ ქალაქს. 22 იანვარს ღამის 11 საათზე გამოდის თფილისისაკენ მატარებელი № 22. მგზავრები თითქმის ყველა მკვდრებს დამგზავსებოდა. მათ სახეზე მწუხარების მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით. ბათუმიდან თბილისამდის რომელ სადგურზედაც გავჩერდებოდით, ყველგან გლოვა, დარდი. არა ჩვეულებრივია მწუხარების ფიქრის მეტს ვერას ნახავდით, მხოლოდ იმას იძახოდნენ საჩქაროთ გამოვფინოთ სამგლოვიარო დროშებიო.

არ ეტყობოდათ მგზავრებს სიოცხლე თითქოს თავის საკუთარ საფლავის წინა დგანან და საცაა უფსკრულში გადაცვივდებიანო.

**კ. დ—ლი.**

## კულტურული მუშაობა მუშათა შორის.

ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მდგომარეობა გვავალებს მივაქციოთ დიდი ყურადღება კულტურულ მუშაობას, რათა მივცეთ საშვალება მუშათა კლასს; რაც შეიძლება ჩქარა და ნათლათ გამოერკვას თავიანთ კლასობრივ ინტერესებში, აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ყურადღება მიქცეული, ეს ასეც ხდება. თბილისის დეპო-პარკის ადგილ-კომის კულტ-კომისიამ ა. წ. 16 იანვარს მოიწვია სადგ. თბილისის მე-4 სამექანიკო ნაწილის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, კრებას დაესწრო 200-დე კაცი.

აღნიშნული კრება შესდგა კონდუქტორთა აუდიტორიაში. დღის წეს-რიგში იყო:

1. პრფკ-კავშირების მნიშვნელობა.
2. საერთო, წეს-რიგის შესახებ.
3. დეპოსკულტ-კომისიის დარსების შესახებ ადგილობრივათ.
4. კულტ-კომისიის არჩევნები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა პლ. ანთიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურას მუშათა კლასისათვის; კრებამ ერთხმად დაადგინა ყოველ-გვარი ზომები მიიღონ ამხ-ებმა, რაც შეიძლება მეტი ენერგიით აწარმოონ მეცადინეობა, მუშაობა კულტურული წინმსვლელობისათვის.

მეორე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხარატაშვილმა, რომელმაც ახსნა-განმარტება მისცა საზოგადოებას პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობაზე.

საერთო წესრიგის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აფხაზავამ, რომელმაც აღნიშნა დაუშვებელი შეცდომები, როგორიც არის მაგ. უშვერი სიტყვები ამხ. შორის, აგრეთვე სიმთვრალე მორიგეობის დროს და სხვ.

კულტ-კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: თავმჯდომარეთ პლ. ანთიძე: მდივნათ აფხაზავა; ხაზინადარათ ხარატიშვილი. წევრებათ: კ. ჩიკულაევი, ბარბაქაძე და კოს. დემეტრაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებათ: ალ. აბულაძე; კვიტკოვსკი და რუხაძე.

**კ. დემეტრაშვილი.**

## საუბარი რუსეთიდან ჩამოსულ პროლეტართან.

— რას აკეთებდით იმ დროს თქვენ თბილისის რკინის გზელი მუშები, როდესაც რუს. საბჭოთა წითელი ლაშქარი შემოდიოდა საქართველოში, როდესაც მენშევიკების ლიდერები გადიოდნენ, და აგრეთვე სხვებიც ბევრი; რას ფიქრობდით თქვენ,—ჩვენ, ამხანაგო, რკინის გზელი ძველი მუშები რა ნიადაგზე უნდა დამდგარვიყავით, როცა გვაშინებდნენ საბჭოთა ხელის უფლება თუ დამყარდა საქართველოში ნახევარიც არ გადარჩებითო. ბოლშევიკები ვითომდა კაცოჭამია ყოფილიყვენ. ჩვენ მაშინათვე ვიცოდით, ძველმა მუშებმა რა უნდა გაგვეკეთებინა. ჩვენი ხსნა იყო შრომაში და მუშაობაში რკინის გზის ტრანსპორტის აღსადგენად. და კიდევაც შეუდექით მის აყვავებას, რკინის გზა ეს დიდი უზარმაზარი საერთო ქონებაა ხალხის, ჩვენ ვიცოდით, რომ თუ ეს დაინგრეოდა, მაშინ ჩვენც დავინგრევოდით. შეუდექით დანგრეულ რკინის გზის აყვავებას, ჩაუყარეთ საფუძველი, და-

ვაინტერესეთ ის ახალი მუშებიც, ვისაც შესწევდა მოქალაქეობრივი კეთილსინდისი.

ვინც შრომას გაურბოდა და ეწევოდა სხვა რაიმე მახინაციას, ის ჩვენ რიგებში არ უნდა ყოფილიყო და კიდევაც ეგრე მოხდა. ჩვენი ძველი მასწავლებელნი გვასწავლიდენ ასე: ყველაფერი იმას, ვინც შრომობს და მუშაობს არაფერი—არა მუშასო, და, აი სწორეთ ეს ვიცოდით ჩვენ მუშებმა და კიდევაც აღვადგინეთ რკინის გზის ტრანსპორტი, გავამაგრეთ აგრეთვე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება. გამოკეთდა აგრეთვე მუშის საქმეც. როგორც ჩერვონეცი, ისე საათობით მატულობს ჩვენი ხელფასიც, იმედიც გვაქვს ჩვენი პირობებიც ძალიან კარგა გამოკეთდება. უსურვებთ გამარჯვებას იმ მშრომელ რკინის გზელ მუშას, რომელიცსარ ღალატობს სახელმწიფო ქონებას, აყვავებს მას და პირნათლად ასრულებს თავის მუშურ მოვალეობას, აგრეთვე გაუმარჯოს იმ ჩვენ წინამძღოლს, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს სრულ გამარჯვებამდის.

რკინის გზელი **ნ. აფხაზავა.**

# პოლიტიკური მიმოხილვა

## (კვირიდან-კვირამდე).

* * *

ყურადღების ცენტრად ინგლისის ახალი მთავრობა რჩება. ყველას აინტერესებს მისი პოლიტიკა, როგორც საგარეო ისე, საშინაო საკითხებში.

საგარეო საკითხებში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა. საფრანგეთთან ურთიერთობის შესახებ თანდათან ირკვევა მდგომარეობა.

მაკდონალდმა პირადი წერილი გაუგზავნა პუანკარეს და წინადადება მისცა ურთიერთ დათმობების გზით სადაო საკითხების მოგვარების შესახებ პუანკარე გამოსთქვამს სურვილს ანტანტასთან თანამშრომლობაზე.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ გაზეთ „კოტიდეინ“-ში მოთავსებული ცნობა, თითქოს ის მომხრეა ანტანტის მთლიანობის დაცვის, სიმართლეს შეეფერება. მაკდონალდს განზრახვა აქვს შეიტანოს წინადადება ევროპის კონფერენციის მოწვევის შესახებ საკონტრიბუციო საკითხის, მოკავშირეთა ვალების, ერთა ლიგაში რუსეთის დაშვების და სხვა საკითხები განსახილველად.

აქედან აშკარაა, რომ მაკდონალდი ფიქრობს ანტანტის მთლიანობის დაცვას და იმავე დროს საფრანგეთის თავის კალაპოტში ჩაყენებას.

პარიზის გაზეთების კორესპოდენტთან საუბრის დროს მაკდონალდმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია საფრანგეთის მიერ მიზეზია იმ უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა ინგლისს. მორალური და ფინანსიური დახმარება, რომელსაც უწევს საფრანგეთი მცირე ანტანტას, აუცილებელს ხდის ახალ ომს. მაკდონალდე ფიქრობს, რომ ექსპერტთა კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებელ შედეგს არ გამოიღებს. ბრიტანეთის მთავრობა დაუცდის, სანამ თვით კომისიები არ სთხოვენ მას იმ დაბრკოლებათა გაუქმებას, რომელნიც ხელს უშლიან მათ მუშაობას. მაკდონალდის აზრით უძლიერესი შეიარაღებაც კი უძლური იქნება უზრუნველყოს საფრანგეთის უშიშრობა; საფრანგეთის დაცვა შეუძლია მხოლოდ ერთა ლიგას.

უკანასკნელი დეპეშების მიხედვით ირკვევა მაკდონალდის წერილის შინაარსი პუანკარესთან. მაკდონალდი თავის წერილში აღნიშნავს, რომ საფრანგეთ-ბრიტანეთის დღევანდელ ურთიერთობას არ აქვს წინანდელი გულწრფელი ხასიათი. ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი ძალიან შეშფოთებულია ევროპის მომავალით. მაკდონალდი იწვევს პუანკარეს თანამშრომლობისაკენ გადაუჭრელ საკითხების საბოლოო და სამართლიანად გადასაჭრელად. ინგლისი მზად არის წავიდეს დათმობაზე და იმედი აქვს, რომ საფრანგეთიც ასეთ გზას დაადგება. პუანკარემ უპასუხა მაკდონალდს შემარიგებელი კილოთი.

როგორც იტყობინება „დეილი მეილის“ პოლიტიკური კორესპოდენტი, მაკდონალდი პუანკარესადმი გაგზავნილ წერილში ამბობს, რომ ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი ნერვიულობას იჩენს ევროპაზე საფრანგეთის პოლიტიკის გავლენის გამო. პუანკარეს პასუხის მთავარი მოტივია ანტანტის დაცვა; ამასთანავე აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება შეიძლება განახლებულ იქნას ორივე მხარისათვის სასარგებლოდ.

ამ რიგად საფრანგეთ ინგლისის შორის უკვე აღარ არსებობს გულწრფელი დამოკიდებულება. მახლობელი დღეები და თვე უფრო ნათლად გამოარკვევს, ამ ორი დიდი სახელმწიფოს ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

* * *

საბჭოთა კავშირთან მაკდონალდის ურთიერთობის შესახებ ჯერ-ჯერობით გამოირკვა მხოლოდ ის, რომ ინგლისის შინაური მდგომარეობის, უმუშევრობის საკითხის მოგვარება დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყნების ცნობასთან. ასე განაცხადა მაკდონალდმა. 12 თებერვალს მაკდონალდი აპირობს თემთა პალატაში შეტანას უმუშევრობის და საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხებისა.

ინგლისის მთავრობამ უკვე დანიშნა ოფიციალური წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთში გამოსაგზავნად. ის უცდის მხოლოდ საბჭოთა კავშირის ცნობას.

* * *

30 იანვარს ორშაბათს, საღამოს ავსტრიის ყოფილ საელჩოს შენობაში—პალაცო ვენეციაში მუსოლინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც იყო საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. ფაშისტების ლიდერი წინასწარმეტყველებდა ფაშიზმის გამარჯვებას არჩევნებში: „ჩვენი მტრები, განაცხადა მან, ფიქრობენ ძირი გამოუთხარონ პარტიას, აფარებენ რა თავს ფაშისტურ მილიციას. მაგრამ ვაი იმას, ვინც გაბედავს მის ხელის შეხებას. მე მეკითხებიან, რატომ არ მივეცი ნება პარლამენტს გაეფართოებია ჩემთვის საგანგებო უფლებები და უპირატესობა მივაკუთვნე ახალ საყოველთაო არჩევნებს. მაგრამ ეს იქნებოდა ძალიან ადვილი გამარჯვება. ჩემ მტრებს უნდოდათ მოენიჭებიათ ჩემთვის ძალა-უფლება და ამავე დროს ვეზიზღებოდი მე მათ. მაგრამ მეც მეზიზღები ისინი. ეს ძველი პარლამენტი უდიდეს სიძულვილს იწვევს ჩემში. მე იმდენად მეზიზღებოდა ისინი, რომ გადავსწყვიტე გამერეკა უსაქმო ადამიანების ეს ბუდე“.

შეეხო რა ევროპის მდგომარეობას, მუსოლინმა განაცხადა, რომ მაკდონალდის კაბინეტის არსებობა არ არის ხანგრძლივი. თუ მისი შინაური პოლიტიკა არ გამოიწვევს მის დაცემას, ეს მოხდება მისი საგარეო პოლიტიკის წყალობით.

* * *

30 იანვ. „დეილი ჰერალდი“ წერილში სათაურით „საბჭოთა რესპუბლიკა იქნება ცნობილი“ სწერს: „ინგლისის მუშათა წრეებში მოუთმენლობა მეფობს საბჭოთა მთავრობის მომავალი ცნობის საკითხის გამო. ეს მოუთმენლობა სავსებით გასაგებია. ზოგიერთი გავლენიანი გაზეთების განცხადება, რომ მოსკოვში გაგზავნილი იქნება სპეციალური მისია ცნობის საჭიროების გამოსარკვევად, არ არის ყურადღების ღირსი და ანეკდოტების რიცხვს ეკუთვნის, მთავრობა არ საჭიროებსმისიის გაგზავნას გამოძიებისათვის, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია“.

30 იანვ. „ნოუ-იორკ ჰერალდის“ უწყება, რომ მაკდონალდმა გადასწყვიტა უსათუოდ იცნოს საბჭოთა მთავრობა. შემდეგ მოწვეული იქნება კონფერენცია საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთ პრეტენზიების განსახილველად ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ განხილული იქნება საკითხი საბჭოთა მთავრობისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

* * *

რეინ ვესტფალიის ოლქში მოხდა მთელი რიგი გაფიცვებისა. ჰაგენში გაფიცული არიან წყალსადენის, ელექტრონის სადგურის და ქალაქის სასაკლაოების მუშები. გასპში და გეფელსბერგში გაფიცული არიან ყველა კომუნალური წარმოებათა მუშები. გრძელდება ლითონის და ნახშირის მრეწველობის მუშების გაფიცვა.

რენმშეიდში და დიუსელდორფში გაფიცული არიან ყველა მსხვილი მრეწველობანი. ბუპერტალში შეწყდა დამოკიდებულება ქალაქთან. თემების მუშები უერთდებიან გაფიცვას. ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის გრძელდება, მიუხედავად კომუნისტური პარტიის აკრძალვისა, დაპატიმრებისა, პროფკავშირების საბოტაჟისა და საოკუპაციო ხელისუფლების მიერ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთების აკრ-

ძალვისა. გაფიცულია სულ 600.000 კაცი, სოციალ-დემოკრატიული პრესის ნაწილი აგიტაციას ეწევა საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ.

უმუშევრებმა სცადეს სასურსათო დუქნების დანგრევა ფრანკფურტში, რასაც ხელი შეუშალა პოლიციამ.

თუმცაღა მთავრობამ გაადიდა ტარიფი იძულებით სამუშაოზე 30 პროცენტით, მაგრამ უმუშევრები მაინც უარს ამბობენ იძულებით სამუშაოზე.

* * *

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საერთაშ. ორგანიზაციის პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზინოვიევმა. სიტყვის ბოლოს ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რო რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია არის საუკეთესო ძეგლი ლენინისათვის, რომელიც ყოველთვის დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდა ბურჟუაზიულ ციხეებში დაპატიმრებულ რევოლიუციისათვის მებრძოლებს. ამხ. ზინოვიევმა სთქვა, რევ. მებრძ. საერთ. დახ. ორგანიზაცია უნდა დარჩეს უპარტიო ორგანიზაციათ, რომელიც დაეყრდნობა მუშების და გლეხების ფართო მასებს. პოლონეთის კომპარტიის ცეკას სახელით გამოსულმა ამხ. დომბალმა მადლობა გადაუხადა რევ. მებრძ. დახმ. საერთ. ორგანიზაციას პოლონეთის ციხეებში დაპატიმრებულ რევოლიუციონერებისათვის დახმარების აღმოჩენის გამო. კონფერენციის სამუშაო თავმჯდომარეებათ არჩეული არიან ამხ. ზინოვიევი, ტროცკი და კლარა ცეტკინი. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეული არიან ლეპემინსკი, კრამაროვი და სხვ.

* * *

შესდგა ექსპერტთა კომისიის პირველი თათბირი გერმანიის სამინისტროსთან ამერიკელი დეეისის თავმჯდომარეობით. გერმანიის მთავრობამ კომისიაში გაგზავნა სტატს სეკრეტარი ფიშერი.

მემორანდუმში გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ გერმანიის მთავრობა აღნიშნავს, რომ მთავარ საკითხს წარმოადგენს რკინის გზების კერძო პირების ხელში გადაცემის საკითხი. მზად არის რა გადასცეს ექსპერტების კომისიას ყველა საანგარიშო წიგნები, მთავრობა აღნიშნავს, რომ მას არ აქვს საშუალება ოკუპაციის ხარჯების დასაფარავად და ხაზს უსვამს, რომ სარეპარაციო საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, სანამ ბიუჯეტი დატვირთული იქნება საოკუპაციო ხარჯებით.

# ᲐᲠᲣᲜᲘᲙᲐ

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲔᲬᲝᲓᲐ** ლენინგრადი თანახმად მუშების მოთხოვნილებისა. სათანადო განკარგულება საკავშირო ცაკის მიერ უკვე გაცემულია.

**ᲜᲓᲒᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** სახელობის ფონდი უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად.

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** ეწოდა ახალგაზდა ლენინელთა კავშირი.

**ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ** საბჭოთა ყრილობამ დაადგინა გამოცემულ იქნეს ლენინის რჩეული ნაწერები დაჩქარებით მილიონიანი ეგზემპლიარებში სხვა და სხვა ენაზე. განსაკუთრებით აღმოსავლეთის ენებზე.

**ᲖᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ** მდგომარეობის მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე გერვეიმ საკავშირო ყრილობას გაყოუგთავნა შემდეგი დეპეშა; „გთხოვთ მიიღოთ მთელი ქვეყნის 400 მილიონი ზანგია ულრმესი მწუხარება ლენინის გარდაცვალებისა გამო. მთელს ქვეყნიერებაზე ჩვენი მოამაგე მხოლოდ ლენინი იყო. გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას“.

**ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშები მოსდის მთავრობას საქართველოს ყოველ კუთხიდან.

**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** მეცნიერების და ხელოვნების მუშაკნი ლენინის გარდაცვალების გამო განსაკუთრებული დელეგაციის სახით წარუდგენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ღოლობერიძეს და საქ. ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაიას და გამოუცხადეს სამძიმარი ლენინის დაკარგვის გამო.

**Ქ. ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲛᲐ** გადასწყვიტა თფილისში დადგას მსოფლიო პროლეტარიატის ბელად ლენინის ორი ძეგლი. ერთი დაიდგმება ლენინის სახელობის ბაღში (ზემელის აფთიაქის პირდაპირ), მეორე თავისუფლების მოედანზე.

**ᲢᲣᲚᲐᲨᲘ** უკანასკნელ დღეებში მომხდარ კრებებზე და მიტინგებზე დაზგის 2000 მუშამ განცხადება შეიტანეს პარტიაში შესვლის შესახებ.

**Ს. ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲛᲐ** ვრცელი წერილით უპასუხა მენშევიკურ ცეკას უკანასკნელის მიერ გამოშვებულ პროკლამაციის გამო. დევდარიანი აღნიშნავს, რომ ის პოლიტიკურად არ მომკვდარა და არც მოკვდება. „რაც ამ მასალებშია ნაჩვენები პარტიის სახელით, ის არ არის პოლიტიკა, არ არის მენშევიკური და საერთოდ არც ერთი პოლიტიკური პარტია. თქვენ როგორც ვხედავ თქვენი ფურცლიდან, არ იზიარებთ ამ აზრს. მიზანს შეწონილი იქნება ამიტომ, თუ საკითხს დავაყენებთ უმაღლეს ორგანოში, მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში. იქ გავგზავნი ყველა მასალებს. ალბათ დაინიშნება სოციალისტური კომისია, „სასამართლო, და ვნახოთ, რას იტყვის“—ო ამბობს დევდარიანი. და წერილს ასე ათავებს: „უნდა შეგრცხვეთ თქვენ, როცა თქვენი ფურცლის სტრიქონსა და სტრიქონს შუა ცდილობთ დაანახოთ მკითხველს, რომ პირად ინტერესების სარჩულზეა აგებული ვითომ ჩემი ახლანდელი გამოსვლა.“

**ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ** შუა რიცხვებიდან სართველოს უზენაესი სასამართლო შეუდგება საქართველოს სამღვდელოების კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობის განხილვას. პასუხისგებაში მიცემული კათალიკოსი (ამბროსი ხელაია) და საკათალიკოზო საბჭოს საბჭოს წევრები.

## ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ** გაზეთები აღნიშნავენ, რომ მაკდონალდს გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა კავშირის ცნობა. ამ ცნობის შემდეგ ის მოიწვევს რუსეთ-ინგლისის კონფერენციას, რომელზედაც განხილულ იქნება ურთიერთდამი პრეტენზიები.

ამის შემდეგ საბჭოთა კავშირს მიეცემა კრედიტი.

**30 ᲛᲐᲠᲢᲘ** ბერლინში გაიმართება გაერთიანებულ სოც. დემოკრატული პარტიის საიმპერიო პარტეიტაგი.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ** რეინ—ვესტფალიის ოლქში დაიწყო მთელი რიგი გაფიცვების. გააგენში გაფიცულნი არიან ელექტრონის სადგურის და წყალსადენის მუშები.

გრძელდება ლითონის და ნახშირის წარმოებებში მუშების გაფიცვა.

დაპყრობილ ოლქში გაფიცულია 600 ათასი მუშა.

სოციალ-დემოკრატიული პრესის ნაწილი წინააღმდეგია საერთო გაფიცვის.

# ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

### არაჩვეულებრივი შემთხვევა.

ბელგრადის (სერბია) საავადმყოფოს ჭირურგიულ განყოფილებაში არაჩვეულებრივ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

საავადმყოფოში გამოცხადდა ვინმე ე. რანკევიჩი და სთხოვა ექიმებს აღმოჩინათ დახმარება.

როცა რანკევიჩი სამი წლის იყო, მას მარცხენა გვერდზე ნეკნებს ქვევით პატარა სიმსივნე აღმოაჩნდა.

თანდათანობით ეს სიმსივნე გაიზარდა და ბუშტის ფორმა მიიღო. ამავე დროს მას გვერდში ტკივილები დაუწყო. როცა ტკივილები აუტანელი შეიქმნა, რანკევიჩმა მიმართა ექიმებს დახმარებისათვის.

ავადმყოფს ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა კოსტიჩმა.

მუცლის სიღრუვის გაჭრის დროს მარცხენა მხარეს, საზარდულის მიდამოში მან აღმოაჩინა მორგვის მზგავსი ვეებერთელა შარისებური ხორცმეტი გახვეული აპკში და ორ ადგილს კუჭთან შეზრდილი.

პროფესორმა კოსტიჩმა განაგრძო ოპერაცია და განცვიფრებული დარჩა... მან აღმოაჩინა ორი განუვითარებელი ბავშვის ჩანასახი.

ოპერაცია მათ ამოსაღებათ ორ საათს გაგრძელდა.

ერთი ბავშვი 25 სანტიმეტრის სიგრძის იყო, იწონიდა ერთ კილოგრამს (2 ნახ. ნახევარ გირვანქა), მეორე ნახევრით პატარა არის პირველზე.

დიდ ჩანასახს აქვს თავი, კისერი, მოკლე ტანი, მარცხენა ხელი ექვსი თითით და მარჯვენა ფეხი, პირის ღრუში ორი კბილი, თავი დაფარულია თმით, ტანის ქვედა ნაწილი უფრო არის განვითარებული, ვიდრე ზედა. ჩანასახს აქვს ხერხემალი და ტანის ძვლები.

მეორე ჩანასახს აჩნია ცალი თვალი, კისერი და ცალი ფეხი.

ჩანასახები შეზრდილი იყვენ სისხლის სადენ მილებთან და პროფ კოსტიჩს მოუხდა ძნელი და რთული ოპერაციის შესრულება—ორტის გაკერვა.

ოპერაციის შემდეგ მეორე დღეს რანკევიჩი გარდაიცვალა.

მზგავსი შემთხვევა არ ახსოვს არც მედიცინის ისტორიას, არც მედიცინის ლიტერატურას.

# წერილები პროვინციიდან

## ლენინის დაკრძალვის დღე ბათუმში.

დილის 9 საათზე ბუნებაც ცრემლს აფრქვევდა საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის დაკარგვით. მუშათა მოძრაობის ჭაღარა ბათომი ბლოვის ჩადრში იყო გახვეული. ცეცხლოვან დროშებს დაკარგოდა ძველი მიმზიდველობა, შავი არშიების აჩრდილი ანელებდა ბრძოლის სიხალისეს, რომელიც ყოველთვის აგვირგვინებს მის სინათლეს. ათ საათზე პარტიულ კომიტეტიდან გამოდიან აპარისტანის პასუხისმგებელი ამხანაგები და მწვანე გვირგვინით მიემართებიან ლენინის ძეგლისაკენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქი დაიფარა ზღვა ხალხით, ყველას ეტყობა დაღვრემილობა, მაგრამ ორატორთა სიტყვებში ფოლადისებური სიმტკიცით იუედება მხნეობა, რომ „ლენინი მოკვდა ფიზიკურათ, მაგრამ იდეურათ ჩვენთან არის და იქნება ყოველთვის იდეოლოგია ლენინიზმი“ მოზღვავებული. დემონსტრაცია ნელი ნაბიჯით მიემართება „გოროდოკისაკენ“ გზა-გზა სიტყვებს ამბობენ ამხ. გ. რამიშვილი, ახალაძე, სტ. აკოპოვი და სხვები, წითელ კაზარმებთან სიტყვას ამბობს ყოფილი მენშევიკი კ. გოგიბერიძე—დემონსტრაციის უკანასკნელი მიჯნა არის აზიზის მოედანი, სადაც ლენინის სურათებით და მწვანით მორთულია ტრიბუნა, რომელიც ამართულია ზედ ძმათა საფლავებზე სიტყვას ამბობენ: ყოფილი მენშევიკი შალვა გომართელი, ყოფ. ახალი მარქსისტი დიასამიძე, ამხ. აკოპოვი და სხვები, სრულ 4 საათზე იწყება სალიუტი და დემონსტრაციები. შემდეგ იშლებიან ორგანიზაციულად.

**შალვა გორისელი.**

## ჩოხატაური. (გურია).

როგორც იქნა ეღირსა გურიას რკინის გზა. მატარებელი უკვე შემოიჭრა ჩვენში და ორთქლმავალის კივილმა გააღვიძა, გააცხოველა, კიდევ უფრო გაახალისა ისედაც მხიარული და ცოცხალი გურიის ბუნება.

ასრულდა გურიის გლეხობის დიდი ხნის ნატვრა.

ის ეღირსა თავის სოფლებში რკინის გზას, გაეხსნა გზა კულტურისა და სოფლის ნაწარმოებსაც ბაზარზე გატანა ეღირსა დროულად.

ეს დიდი საქმე, საშვილიშვილო საქმე გურიის მშრომელ გლეხობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ აღირსა.

ერეკ ნიკოლოზის დროს, ვერც მენშევიკების დროს ვერ აუსრულდა გურიის მშრომელ გლეხობას ნატვრა და სურვილი.

ვერავინ შესძლო ამ დიდ საქმის გაკეთება, გარდა მშრომელ ხელისუფლებისა, გარდა საბჭოთა მთავრობისა.

მხოლოდ მან აუღო ალღო გურიის მშრომელი ხალხის სურვილს და ითავა ამ დიდი საქმის გაკეთება.

ჩვენ ვამბობთ ითავა თქო, ვინაიდან თვით ხალხმა, გურიის მშრომელმა მასსამაც დიდი შრომა და ენერგია დახარჯა ამ დიად საქმის მოგვარებაზე.

მთავრობის პირველ დაძახებისთანავე მთელი მშრომელი გურია გამოვიდა სამუშაოზე უსასყიდლოთ, მოიხადა თავისი ვალი.

მან შეიგნო, რომ მხოლოდ მთავრობას საკუთარი ძალებით, ხალხის დაუხმარებლათ არ შეეძლო გაეკეთებია ეს დიდი საქმე.

და თუ ჩვენი მუშური გლეხური მთავრობის დიდი დამსახურებაა ამ გზის გაყვანის თაოსნობა, გურიის ხალხის დამსახურება მის შეგნებულად და მწყობრად გამოსვლაშია და ენერგიით, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გატაცებით მუშაობაში გამოიხატება.

შეერთებული ძალით, ერთი-ერთის დახმარებით დღეს საშვილიშვილო საქმე გაკეთებულია...

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი საქმე ჯერ მხოლოდ დაწყებულია, რომ მის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი შრომა და ჯაფა დასჭირდება. მთავრობასაც და ხალხსაც ჯერ კიდევ ბევრი ენერგია დაეხარჯებაა სანამ ეს დიდი საქმე დაბოლოვდება.

საქმე იმაშია, რომ გზა მხოლოდ ქ. ოზურგეთამდია გაყვანილი და სულ 13 ვერსის მანძილზე არის მოთავებული. მას გაგრძელება ესაჭიროება და გაზრდა კიდევ, ვინაიდან იმ მიდამოებში, სადაც ის გადის მაინც და მაინც ბევრი შემოსავალი რკინის გზას არ ექნება, და ხაზი დეფიციტის გამო დაიხურება. იმისათვის, რომ გზამ იმუშაოს საჭიროა მისი გაგრძელება და შეყვანა შიგნით, ზემო გურიაში, ტყეებისა და სხვადასხვა სიმდიდრეთა დაუშრეტელი წყაროებში.

უსათუოდ საჭიროა რკინის გზის ჯერჯერობით ჩოხატაურამდის მაინც მიყვანა და შემდეგ კი ტყეებისაკენ... უტეხი ტყეებისაკენ სვლა... უამისოდ გურიის რკინის გზის ახალ შტოს მომავალი არ ექნება.

უამისოდ ის იზარალებს და ჩქარა დაიხურება.

მთავრობამ უნდა იკისროს ისევ ამ დიდი საქმიის დაბოლოვება, თორემ ამდენი ხარჯი ამდენი შრომა და ჯაფა ტყვილად ჩაივლის, გურიის მშრომელი მასსა ისევ მზათ არის მთავრობასთან იყოს და მხარში ამოუდგეს ამ საქმის კეთებაში.

როგორც ერთი კაცი, ისე გამოვა მთელი გურია, რკინის გზის გასაყვანათ სამუშაოზე.

ის მხოლოდ ელის მთავრობის დაძახილს.

მას იმედი აქვს, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაწყებულ საქმეს ბოლომდის მიიყვანს და მთელ გურიას აღირსებს ათეულ წლების განმავლობაში საოცნებო და სანატრელ რკინის გზას.

ზემო გურია სიხარულით შეხვდება იმ დღეს როდესაც პირველი ბარი დაესვება მიწაში ოზურგეთის ჩოხატაურის რკინის გზის გასაყვანათ.

ამის იმედი აქვს გურიას, ამას ელის ის თავის მთავრობისაგან.

**გლეხი.**

## გიორგაძის და ქაიხოსროშვილის მკვლელობის გამო.

ილარიონ გიორგაძის და ქაიხოსროშვილის მკვლელობა შემთხვევის ეპიზოდს არ წარმოადგენს საქართველოს მენშევიკურ პარტიის ამ უკანასკნელ სამოწლის ცხოვრებაში. პირიქით, ეს აუცილებელი ლოგიკური შედეგია მის მიერ აღებულ სამოქმედო ხაზის. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ დაისახა ერთად ერთი მიზანია სახელდობრ—საქართველოს სახელმწიფოებრივობის დაცვა და განვითარება. მხოლოდ ამ მომენტით იწურება მენშევიკური პარტიის უკანასკნელი ექვსი წლის მთელი მუშაობა. ეს იდეია „ჩრდილავს ყველა დანარჩენ მიზნებს. დღიდან საქართველოს გასაბჭოების მენშევიკური პარტიის მოქმედება ამ საკითხის გადაჭრის პროცესში იღებს უფრო გარკვეულ სახეს და მიმართულებას.

იქმნება ეგრედ წოდებული პარიტეტული კომიტეტი—უზენაესი ორგანო საქართველოს ფარგლებში, რომელიც ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოში და რომელსაც ემორჩილება ყველა პოლიტიკური პარტიები. პარიტეტულ კომიტეტში შესვლით მენშევიკური პარტია სტოვებს თავის სოციალისტურ პოზიციებს და სავსებით ვარდება ბურჟუაზიულ პარტიათა გავლენის ქვეშ.

საქართველოს „განთავისუფლების“ ბრძოლის პროცესში ის ჰკარგავს ნების ყოფას და ხდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის მექანიკური გამტარებელი ცხოვრებაში.

ბურჟუაზიული იდეოლოგია კი მოითხოვს მუშათა კლასის ხელისუფლების სრულ ლიკვიდაციას და კაპიტალისტური სისტემის აღორძინებას ამისთვის კი აუცილებელია მუშათა კლასის სრული დემორალიზაცია და ნაწილობრივ ფიზიკური განადგურება, განადგურება რასაკვირველია უფრო აკტიური ელემენტების, რაც შეეტანს დიდ არევდარევას მუშების რიგებში. თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით გიორგაძის და ქაიხოსროშვილის მკვლელობას მაშინ ადვილად გავფანტავთ იმ საიდუმლოებს რომლითაც მოცულია ამ ამხანაგების მკვლელობა, ჩვენ ვიძახით: მენშევიკურმა პარტიამ პარიტეტული კომიტეტის კარნახით მოჰკლა გიორგაძე და ქაიხოსროშვილი. ეს სრულიად ბუნებრივია, მაგრამ სრულიად ხელოვნური და უშინაარსოა მენშევიკური ცეკას მტკიცება იმის შესახებ თითქოს გიორგაძეს მკვლელობა არის საგანგებო კომისიის საქმე. მთავარი, მენშევიკური პარტიის ცეკისტებო, აქარის ბურჟუაზიული პარტიებთან თანამშრომლობის პრინციპი! თქვენ თავი მოუყარეთ პარიტეტულ კომიტეტში ანტიკომუნისტურ ყველა ჯგუფებს და ამ ბურჟუაზიულმა სტიქიამ გშთანთქათ თქვენ.., და განა მარტო თქვენ მოგვიდალათ ასე? აიღეთ თქვენზე ათასჯერ უფრო გამოწრთვნილი პოლიტიკური და ძლიერი—გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

განა სოციალ-დემოკრატმა ნოსკემ არ მიუტანა გერმანიის ბურჟუაზიის მსხვერპლად ათი ათასობით გერმახელი პროლეტარი?

განა სოციალ-დემოკრატი პრეზიდენტი ებერტი არ გამოდის მკვლელად ათასი და ათი ათასი გერმანელი მუშის, როდესაც აძლევს უფლებას გერმანელ სექტს ცეცხლით და ბაგვილით შეიპრას წითელი საქსონიის და ტიურინგიის გულში ამ კუთხეების პროლეტარია-

ტის გასანადგურებლად? და განა ასევე არ დაემართა ბულგარეთის რუსეთის სოციალ-დემოკრატიას და რუსეთის ესერებს? დიახ, ასე დაემართათ მათ, ასე ვემართებათ თქვენც. ასეთ პოლიტიკურ პარტიასთან ჩვენ სალაპარაკო არაფერი დაგვრჩენია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ აღნიშნოთ, რომ მსორე ინტერნაციონალი, რომელიც გამოდის საქართველოს მენშევიკურ პარტიის დამცველის როლში, არსებითად იცავს საქართველოს მუშების მკვლელთა უმნიშვნელო ჯგუფს და აქედან მან უნდა გამიყვანოს სათანადო დასკვნები.

**ქსნელი.**

## ზარე-კახეთი.

სოფელ მუღალნოში უკვე მოეწყო სკოლის აშენების ორგანიზაცია და მზადდება მასალაც.

გერმანელებმა დროებით გადასდეს თეატრის აშენების საქმე—რადგან დიდი ხვრელით დაიწყეს სარწყავი არხის გაყვანა—ეს მუშაობა დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში.

ხაშმის საბჭო ყოველ კვირაში ერთხელ აწვდის აღმასკომს თავის მუშაობის შესახებ ცნობებს. მუშაობა საქმიანია და ნაყოფიერიც.

პატარძეულში ჯერჯერობით ადგილი აღმოჩენილი არის და ტეხნიკის მიერ შედგენილია გეგმა და იდეია, რომ პატარძეულს ექნება საკუთარი სკოლის და თეატრის შენობა ერთი წლის განმავლობაში.

აღმასკომმა დაამუშავა იორზე აღაპაპაშვილისეული ზვარის გასხვლა და გაწმენდა. ვაზი დაახლოებით 7 დესეტინაა.

დარჩა ორი დესეტინა, რომელიც 20—25 წლის დაყამირებული და დაუბარავი იყო. დააწვინა ორი ბარის პირის საღრმეზედ შახმატიურათ ნახევარ დესეტინა და გაახლა ვაზი და ჩაუმატა დაგლეჯილი ვაზი.

ხაშმზე ბერებისეული ამოვარდნილი მაგრამ კულტურულათ გამოსადეგი ბაღი დაამუშავა ნაწილი აღმასკომმა და ნაწილი მისცა დასამუშავებლათ (ორგანიზაციულათ მოწყობის შემდეგ) ადგილობრივ გლეხკაცებს ასე, რომ შვიდი დესეტინა ბარით დაიბარა ბერებისეული ბაღიც.

გარეკახეთს ესაჭიროება ამერიკულ ვაზზე დამყნობილი ადგილობრივი ვაზის ნამყენი რისთვისაც უკვე ზომებია მიღებული. გვპირდება აგრონომი მ. ნახუცრიშვილი ხაშმზე ახლათ დაარსებულ სანერგეში მოკლე ხანში მის დამზადებას.

დანარჩენ სოფლებშიც მიღებულია ზომები აღმასკომის კუთვნილ მიწების და ბაღების დასამუშავებლათ.

რომელიც იყვნენ დარჩენილი ქურდბა-ცაცებაჩალები გარეკახეთში ე. ი. მარტყოფის ფარგლებში, ის აღმოაჩინა აღმასკომის მილიციამ ნაცარცვით, მათ თარეშს სათანადო პასუხი გაეცა და მათ მიმყოლ წამქეზებლებსაც არ დაეურგებათ კეთილი—ყველა ბოროტებს მთავრობასთან ერთად თვით ხალხი ებრძვის და ასრულებს მოქალაქეობრივ მოვალეობას.

**გარეკახელი გლეხი ტურა.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

1917 წლიდან ვირიცხებოდი ს. დ. მ, (მენშევიკური) პარტიაში და ჩემ ძალღონის და მიხედვით ვიყავი ჩაბმული საერთო მუშაობაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მასთან გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი.—გავეცანი რა სრულიად საქ. ს. დ. მ. ყოფილ მენშევიკების ყრილობის დადგენილებებს, ამიერიდან ვტოვებ მენშევიკურ პარტიას და ვსდგები სრულიად შეგნებულად მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ და ვიზიარებ ყოფილ მენშევიკთა ყრილობის ყველა დადგენილებებს.

**ნ. მელიქიძე.**

—:—

მე ს. დ. პარტიიდან გამოვედი 1923 წ. 3 სეკტემბერს და სათანადო განცხადება მივეცი საგანგებო კომისიას, მაგრამ ჯერ არ დაბეჭდილა, ამიტომ ახლა ხელახლა ვაცხადებ, მე სრულიად [საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ყრილობის დადგენილებებს ვიზიარებ და ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვს მენშევიკებთან.

**ნ. კანდელაკი.**

—:—

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენს ჟურალის ფურცლებზე შემდეგი:

ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, დაწვრილებით გავეცანით რა ყოფილ მენშევიკების ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს და დადგენილებებს და უწევთ რა შექმნილ მდგომარეობას ანგარიშს, ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ დღეს ს.-დ. მენშევიკების ცალკე ბანაკათ, მეორე ინტერნაციონალის მფარველობის ქვეშ არსებობა ყოვლად უაზრობა და მიუღებელია, ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მისი მომასწავებელი და თავდებია, რომ ს.-დ. ეხმარება პროლეტარიატის დამღუპველ და გამყიდველ კლასს. უწევთ რა ანგარიშს ზემოაღნიშნულს, ჩვენ ყველას გასაგონათ ვაღიარებთ, რომ შეთანხმების გზა ბურჟუაზიასთან დაღუპავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ამ მდგომარეობის თავიდან ასაცდენათ მიზანშეწონილათ და საბოლოო გამარჯვებათ მიგვაჩნია პროლეტარიატის დიქტატურა და მისი მოსარჩლე მესამე ინტერნაციონალი, რაც რომ მიღებული იყო ზემოაღნიშნულ ყოფილ მენშევიკების ყრილობის მიერ და რასაც სრულიად შეგნებულათ უერთდებით ჩვენ. გულწრფელად ვსდებთ ფიცს, რომ ყოველივე ძალღონე დავახმარით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცებას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას და მსოფლიოს მუშათა გაერთიანებას.

**1) აქვსენტი პეტრეს ძე ბერიძე—1919 წ. 2) ირაკლი მუსებიანი. 1920 წ. 3) მოსე გაბრიელის ძე რაზმაძე, 1923 წ.**

—:—

1917 წლიდან ვირიცხებოდი სოც.-დემ. (მენშევიკურ პარტიის წევრად. სექართველოს გასაბჭოების შემდეგ მეც ჩავები არალეგალურ მუშაობაში და ვირიცხებოდი ცხინვალის რაიონულ კომიტეტის წევრად, მართალია ბევრ საკითხებში არ ვეთანხმებოდი არალეგალურ ცეკას, მაგრამ პარტიული დისციპლინის ძალით ვემორჩილებოდი პარტიის სხვა და სხვა დადგენილებებს და დროზე ვერ დავაღწიე თავი პირად თავმოყვარეობას. მენშევიკთა სრულიათ საქართველოს კონფერენციის მუშაობამ და დადგენილებებმა ბევრი რამ გაურკვეველი ნათელყვეს ჩემთვის. მაგრამ დღემდე ვერ მომიხერხდა გამომეთქვა ჩემი აზრი და დამოკიდებულება ზემოხსენებულ კონფერენციის დადგენილებებისადმი. ამ დღეებში მომეცა საშუალება სავსებით გავცნობოდი, როგორც აგვისტოს კონფერენციის დადგენილებებს, ისე ჩემი თანამებრძოლთა, მეტეხში მყოფ (გორის მაზრიდან) პატიმართა განცხადებას, რამაც ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია.

უერთდები რა 25 აგვისტოს (მენშევიკურ) კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებებს, ფიცსა ვდებ მთელი ჩემი ენერგიით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ამით გამოვასწორო მუშათა კლასის წინაშე ის შეცდომები, რომელიც დაუშვი არალეგალურ მენშევიკურ პარტიის რიგებში მუშაობით ამ სამი წლის განმავლობაში.

**შალვა გიორგის ძე ხაჩიური.**

—:—

1921 წლამდის მე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში. მხოლოდ 1921 წლიდან მე არავითარ პოლიტიკურ ორგანიზაციაში და თვით მენშევიკურ ორგანიზაციაშიც არალეგალურათ არ მიმუშავია. დღეანდლამდისაც და დღეის შემდეგაც მე ვდგევარ საქართველოს და მთელი ქვეყნის მშრომელთა ხალხის აღორძინების და წინსვლის ნიადაგზე.

**თედო ჩანგიშვილი.**

—:—

1918 წლიდან ვირიცხებოდი მენშევიკურ პარტიის წევრათ. ამ პარტიიდან დიდძალი ამხანაგების ერთბაშათ გასვლას და კომინტერნის დროშის ქვეშ დადგომას ვთვლიდი მათ სულ მოკლეობათ. მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა, როგორიც არის გიორგაძის მოკვლა და სხვა, აგრეთვე გაცნობამ ციხიდან გამოსული ამხანაგებისა მე დამარწმუნეს, რომ მენშევიკური პარტია გაკოტრდა სრულიად და მთელი მსოფლიოში მუშათა კლასის ხელმძღვანელობა უნდა ხელთ აიღოს კომინტერმა. ვაცხადებ რა ამას, უერთდები მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და ვიბრძოლებ მის დროშის ქვეშ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

**სერაფიონ ბესარიონის-ძე ბალაგაძე.**

**სარედაქციო კოლეგია:**
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს. ს. ფ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 448. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 1002. ტირაჟი 1000